უცხოელთან განქორწინების წესი და ფორმა საერთაშორისო კერძო სამართალში

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოსა და უცხო ქვეყნების მაგალითზე

შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“კერძო სამართლის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ქეთევან ომიაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კერძო სამართლის ფაკულტეტზე, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

2020 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **გია ლილუაშვილი,**

სამართლის დოქტორი

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საოჯახო სამართალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ყველასათვის ნაცნობ საკითხს, როგორიცაა განქორწინება, მისი სამართლებრივი ბუნება და შედეგები. უფრო კონკრეტულად კი, კვლევაში განხილულია საერთაშორისო კერძო სამართალში განქორწინების ინსტიტუტი, მისი თანმდევი პრობლემატური საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები.

უნდა აღინიშნოს, რომ განქორწინების პროცესი უცხო ელემენტით დატვირთულ სამართლებრივ ურთიერთობაში შედარებით რთულად მიმდინარეობს, ვინაიდან იგი სხვადასხვაგვარად რეგულირდება რიგი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობაში და ცხადია, პრაქტიკაში იწვევს ნორმათა კოლიზიას, პროცესის გაჭიანურებას, ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში არ ცნობას, რაც მხარეებისათვის დღის წესრიგში აყენებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბავშვისთვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შეუძლებლობა, მის სარჩენად დადგენილი თანხის, მეუღლის ალიმენტის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მიუღებლობა, თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან ნახევარი წილის მიღების უფლების ხელყოფა, ხელახალი დაქორწინების უფლების შეზღუდვა...

ნაშრომი მოიცავს როგორც საქართველოს, ისე სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკასა და გამოცდილებას და გვთავაზობს ჩვენს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. კვლევის მიზანიც სწორედ სადაო საკითხების განხილვა და მართებული რეკომენდაციების შემუშავება გახლავთ.

Abstract

The Master Thesis deals with one of the most important and familiar issues of family law, such as divorce, its legal nature and consequences. More specifically, the study discusses the institution of divorce in private international law, its accompanying problematic issues and the ways to resolve them.

The divorce process is relatively complicated in a legal relationship laden with a foreign element, as it is regulated differently in the domestic law of a number of states and obviously leads to conflict of norms, delays in the process, non-recognition of decisions made by one state in another, which puts issues such as: Impossibility to determine the place of residence for the child, inadmissibility of the amount set for his/her support, alimony of the spouse (if necessary), violation of the right to receive half a share of the co-owned property, restriction of the right to remarry...

The thesis covers the practices and experiences of Georgia and different countries and offers ways to eliminate the gaps in our legislation. The purpose of the research is to discuss controversial issues and develop valid recommendations.

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 6

I თავი 8

1. ქორწინების ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება 8

1.1. ქორწინება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართლში 10

1.2. ქორწინება საერთაშორისო კერძო სამართლში 12

1.2.1. ქორწინების წესი და ფორმა რიგი ქვეყნების მაგალითზე 13

1.2.2. ქორწინება ისლამური ქვეყნების მაგალითზე 16

II თავი 17

2. განქორწინების ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება 17

2.1. განქორწინება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივ ორგანოში 20

2.2. განქორწინება სასამართლოს მიერ 21

3. განქორწინება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში 23

3.1. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში 27

3.2. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში 28

3.3. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი 29

III თავი 34

4. განქორწინება საერთაშორისო კერძო სამართალში 34

4.1. ძირითადი კოლიზიური მიმაგრების ფორმულები 35

4.2. დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ 36

4.3. საქორწინო კონტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართალში 37

IV თავი 38

5. განქორწინება აღმოსავლეთის ქვეყნების სამართალში 38

V თავი: 42

6.1. შერეული ქორწინებები: 42

6.2. განქორწინების პროცედურა ნიდერლანდებში 43

6.2.1. მეორე განქორწინება: განქორწინება ორ ქვეყენაში? 44

6.3. პრობლემა, როდესაც ერთ ქვეყანაში დაშვებულია პოლიგამია, მეორეში- არა.....45
VI თავი 46
7. განქორწინება ევროპულ სახელმწიფოებში..... 46
7.1. გაერთიანებული სამეფო 46
7.1.1. განქორწინების საფუძვლები და ხუთი ფაქტი 48
7.1.2. განქორწინების პროცედურა.....48
7.2. საფრანგეთი 50
7.4. განქორწინების საკითხის რეგულირება უცხოური ელემენტის არსებობის დროს ბელარუსში.....51
7.4.1. განქორწინების ორმხრივი კონფლიქტის რეგულირება ბელარუსის კანონმდებლობაში.....52
7.5. ევროკომისიის წევრი ქვეყნები 53
7.5.1. ავსტრია.....53
7.5.2. ირლანდია 54
7.5.3. იტალია 55
7.5.4. გერმანია.....56
VII თავი..... 58
8. განქორწინება ამერიკაში 58
8.1. განქორწინება მეუღლეთა თანხმობით.....58
8.2. განქორწინება ბრალდებების გარეშე 59
8.3. გამარტივებული წარმოება და განქორწინება რეგისტრაციით.....59
8.4. მედიაცია 60
VIII თავი..... 60
9. განქორწინებისას გამოსაყენებელი სამართალი ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით..... 60
9.1. პრაქტიკული ქეისი კონფლიქტურ სამართალთან დაკავშირებით 62
კ ვ ლ ე ვ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი 64
დ ა ს კ ვ ნ ა 70
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა..... 72

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საოჯახო სამართალი კერძო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა მიერ აქტიურად არის შესწავლილი და გამოკვლეული, მაინც ამოუწურავი და სიახლეებით სავსე სფეროა.

ჩემ მიერ შერჩეულ საკითხს აქტუალურად მივიჩნევ იმდენად, რამდენადაც ჩვენ გარშემო არსებული რეალობა ნათელჰყოფს, რომ საოჯახო სამართალთან დაკავშირებული დავები საკმაოდ ხშირია. ამ კუთხით, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მეუღლეთა განქორწინებას და მასთან დაკავშირებულ პროცესებს, რაც მაძლევს იმის საშუალებას, ვთქვა და მივიჩნიო, რომ განქორწინება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ქორწინების შეწყვეტას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საერთაშორისო საოჯახო სამართალში. ამას განაპირობებს ის ფაქტორებიც, რომ ქორწინების შეწყვეტას თან სდევს მთელი რიგი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა (მეუღლეთა ქონების განაწილების და სხვა საკითხები), რაც საკმაოდ მრავალრიცხოვან კოლიზიურ პრობლემებს წარმოშობს. [1]

განქორწინება გახლავთ ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც მეუღლეთა შორის, დავის არსებობის შემთხვევაში, გადაწყდება სასამართლოს გზით, სხვა შემთხვევაში

[1] გაბისონია ზ., "ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი", თბილისი, 2016, 327

კი, ისინი მიმართავენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს.

განქორწინების წესი, ფორმა და მიდგომები, ქვეყნების მიხედვით, განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაზეც დეტალურად და ახლებურ ჭრილში ვისაუბრებთ ნაშრომის ძირითად ნაწილში.

ერთი შეხედვით, მარტივი პროცედურა რთულდება მაშინ, როდესაც განქორწინება ხდება ტრანსნაციონალურ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შორის, ვინაიდან ეს პროცესი დაკავშირებულია როგორც მათ მოქალაქეობასთან, ისე ბოლოს არსებულ საერთო საცხოვრებელ ადგილთან, მათ ახლანდელ ჩვეულებრივ ადგილსამყოფელთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან და ა.შ. ამიტომ, აუცილებელია, ვიცოდეთ, როგორ უნდა დარეგულირდეს ყოველი ცალკეული შემთხვევა, რათა არ შეიზღუდოს მეუღლეთა უფლებები და მათ შეძლონ, კანონის ფარგლებში, მიაღწიონ სამართლებრივ შედეგებს.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ჩემი ნაშრომის **მიზანი** გახლავთ იმ მნიშვნელოვანი და სადაო საკითხების სიღრმისეული შესწავლა, ანალიზი და კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების მოძიება და განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო კერძო საოჯახო სამართალში უცხოელთან განქორწინებასთან.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებითი და სისტემური **კვლევის მეთოდები,** რომელთა დახმარებითაც, ვეცადე, საფუძვლიანად და ამომწურავად დამემუშავებინა უცხოელთან განქორწინების წესსა და ფორმასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი და გამეცა პასუხი აქამდე დასმულ შეკითხვებზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და ოცდათოთხმეტი ქვეთავისაგან; პირველ თავში ვიხსენებთ ქორწინების ცნებას და მისი სამართლებრივ ბუნებას, მეორე თავში კი გადავდივართ განქორწინების ცნებისა და მისი სამართლებრივი ბუნების განხილვაზე, ვიხსენებთ განქორწინებას ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში, მესამე თავიდან კი უშუალოდ გადავდივართ განქორწინების ფორმისა და წესების განხილვაზე საერთაშორისო კერძო სამართალში, მთელი რიგი ქვეყნების მაგალითზე; მეოთხე თავი ეთმობა განქორწინების ეტაპებსა და პროცედურას აღმოსავლეთის ქვეყნების სამართალში, მეხუთე თავი კი შერეული ქორწინებების პრობლემატიკას; მეექვსე თავში განვიხილავთ განქორწინებას ევროპულ სახელმწიფოებში, მეშვიდე თავში კი- ამერიკაში, მერვე თავი ეთმობა ევროკავშირის ქვეყნებში გამოსაყენებელ სამართალს, რაზეც მოხმობილია ქეისები;

ნაშრომს დართული აქვს ბიბლიოგრაფიის ნუსხა.

I თავი

1. ქორწინების ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება

ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ქორწინება წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ინდივიდუალური ოჯახების შექმნის მოთხოვნილება გაჩნდა, ქორწინება დღევანდლამდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობებს.[2]

ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც **რეგისტრირებულია** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში

[2] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 58

მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.[3]

ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.[4]

საოჯახო კანონმდებლობით, მნიშვნელოვნადაა გამარტივებული ქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები. ამის აუცილებლობა ნაკარნახევია არა მარტო საქართველოში ადრე მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი აქტების, არამედ სხვა ქვეყნების საქორწინო კანონმდებლობის არქაული და რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე.[5]

დაქორწინების პირობები ორ ჯგუფად იყოფა: 1. დადებითი პირობები, რომელთა არსებობის დროს დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია და

2. უარყოფითი პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებულ გარემოებას წარმოადგენს.[6]

დაქორწინების პირობები:

დაქორწინებისათვის აუცილებელია:

ა) საქორწინო ასაკი;

ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა; [7]

საქორწინო ასაკი:

ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან; [8]

დასაქორწინებელ პირთა თანხმობა:

---

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი

[4] საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000, 28

[6] იქვე 28

[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლი

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას; [9]

1.1. ქორწინება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართლში

საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ქორწინების წესები, პირობები, ერთმანეთისაგან განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, ვინაიდან იგი უშუალოდ დაკავშირებულია რელიგიასთან, ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, ქვეყნის ისტორიასთან და ა.შ.

საქართველოს კანონდმებლობა არ ითვალისწინებს რაიმე აკრძალვას საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დაქორწინებისათვის. ქორწინება დასაშვებია არამარტო საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს შორის, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორისაც.[10]

ქართული კოლიზიური სამართალი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრავს, რომ:

„ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქართველოს მოქალაქე დაქორწინდება შვეიცარიის მოქალაქეზე, მაშინ საქართველოს მოქალაქის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობა ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა საქორწინო ასაკი, დასაქორწინებელ პირთა თანხმობა, დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობა, რომლებიც მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

[10] ლილუაშვილი თ., „საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, 97

მუხლში და ა.შ. რაც შეეხება შვეიცარიის მოქალაქეს- მის მიმართ დაცული უნდა იქნეს შვეიცარიის კანონმდებლობის მოთხოვნები.[11]

44-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი ამბობს, რომ:

„თუ ქორწინების პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, თუ:

ა) სხვა ქვეყნის სამართალი ქართულ ჩვეულებებთან შედარებით ზღუდავს ქორწინების თავისუფლებას".

აქ საქმე ეხება ქორწინების თავისუფლების ისეთ შეზღუდვას, რომელსაც შეიცავს უცხო ქვეყნის სამართალი. თუ დაქორწინება ხდება საქართველოში და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ზღუდავს დაქორწინების თავისუფლებას საქართველოს სამართალთან შედარებით, მაშინ გამოიყენება საქართველოს სამართალი; [12]

ბ) „წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას".

ცნობილია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ დაიშვება ქორწინება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი დაქორწინებულია სხვასთან (სამოქ. კოდექსის 1120-ე მუხლი). მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც დასაშვებია განმეორებით დაქორწინება. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მოქალაქეს სურს დაქორწინდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც უკვე იმყოფება ქორწინებაში, გამოყენებული უნდა იქნეს არა იმ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელიც დასაშვებად თვლის მეორე

---

[11] ლილუაშვილი თ., „საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, 97

[12] იქვე 98

ქორწინებას, არამედ საქართველოს სამართალი და, აქედან გამომდინარე, უარი უნდა ეთქვას დაქორწინებაზე ასეთ პირს. [13]

გ) „წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოში ცნობილი გადაწყვეტილებით შეწყვეტილი ან ბათილია“.

დ) „დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად“.

1.2. ქორწინება საერთაშორისო კერძო სამართლში:

ქორწინების განსხვავებული წესები და პირობები გააჩნიათ ევროპულ ქვეყნებს აზიური სახელმწიფოებისგან, ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს იაპონიისა და ჩინეთის სახელმწიფოებისაგან და ა.შ. უფრო მეტიც, ტერიოტრიულად მეზობელ ქვეყნებსაც კი შეიძლება რადიკალურად განსხვავებული წეს-ჩვეულებები გააჩნდეთ ქორწინებასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად ასახვას შესაბამის კანონმდებლობაშიც ჰპოვებს.[14]

ბევრი ევროპული ქვეყანა აბსოლუტურად ემხრობა ე.წ. „მონოგამიურ“ ქორწინებას, ანუ ქორწინება შეიძლება მოხდეს ქალსა და მამაკაცს შორის. მაგრამ ზოგერთი ევროპული ქვეყანა, მაგალითად, ჰოლანდია აღიარებს ქორწინებას ერთსა და იმავე სქესის მქონე პირებს შორის. განსხვავებით ევროპული ქვეყნებისგან, მუსულმანური აზიური ქვეყნები, რელიგიური წესებიდან გამომდინარე, უშვებს ე.წ. „პოლიგამიურ“ ქორწინებას, რაც გულისხმობს მამაკაცის მიერ რამდენიმე ქალთან ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობას.[15]

---

[13] იქვე 98

[14] გაბისონია ზ., „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბილისი, 2016, 313

[15] იქვე 313

მოსახლეობის მიგრაციის ზრდამ, სამეცნიერო, კულტურული, საქმიანი და „ჩვეულებრივი“ ადამიანური ურთიერთობების განვითარებამ სამართალში წარმოშვა ახალი ცნება- „უცხოური ქორწინებები“, რომელშიც იგულისხმება არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა შორის ერთ-ერთის ქვეყანაში განხორციელებული ქორწინება, არამედ ერთსა და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ქორწინების დადება უცხო ქვეყანაში. აღნიშნულმა კი, ბუნებრივია წარმოშვა სერიოზული სირთულეები ქორწინების რეგისტრაციებთან დაკავშირებით. ამიტომაც მათი რეგულირება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი საერთაშორისო კონვენცია და შიდასახელმწიფოებრივი კოლიზიური სამართალი, საკმაოდ რთულია. [16]

1.2.1. ქორწინების წესი და ფორმა რიგი ქვეყნების მაგალითზე:

ქორწინების წესი:

ქორწინების წესსა და პირობებთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხების გადაწყვეტისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს დასაქორწინებელ პირთა პირად კანონს- **lex Personalis**, მაგრამ, როგორც ცნობილია, სკს-ში ფიზიკური პირის პირადი კანონი იყოფა ორ სახედ. პირველს განეკუთვნება მოქალაქეობის ქვეყნის კანონი **(lex partiae, lex nationalis),** რომელსაც მხარს უჭერს კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა (საქართველო, გერმანია, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ავსტრია, ბელგია, ეგვიპტე, შვედეთი და ა.შ.). ამ პრინციპის მიხედვით, დასაქორწინებელი პირის პირადი

[16] იქვე 316

კანონის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ეს პირი. [17]

განსხვავებით კონტინენტური სამართლის ქვეყნებისაგან, საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები (ავსტრალია, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) მხარს უჭერენ საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონის **(lex domicili)** პრინციპს, რომლის მიხედვითაც დასაქორწინებელი პირის პირადი კანონის განსაზღვრისას, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ამ პირს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (დომიცილი). [18]

გარდა ამ ორი პრინციპისა, განასხვავებენ, მესამე, ე.წ. **„შერეულ პრინციპს“,** რომელიც, ალტერნატივის ფორმით, მოქალაქეობის ქვეყნის კანონსა **(lex partiae, lex nationalis)** და საცხოვრებელი ადგილის **(lex domicili)** ქვეყნის კანონსაც აღიარებს. ამ პრინციპს ემხრობა საფრანგეთი და ბულგარეთი.[19]

რაც შეეხება აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, აქ იყენებენ სპეციალურ მიმაგრების ფორმულას- ქორწინების წესის შესრულების ადგილის კანონი **(lex loci celebrationis)**. ამ პრინციპის მიხედვით, ქორწინების წესის შესრულებასთან დაკავშირებით, გამოიყენება ამ წესის ჩატარების ადგილი.

ქორწინების ფორმა:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება. თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-

[17] იქვე 319

[18] იქვე 319

[19] იქვე 320

ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შედეგად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება".

ქორწინების ფორმასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა აჩვენებს, რომ მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) ქვეყნები, რომლებშიც ოფიციალურად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ქორწინება, რომელიც რეგისტრირებულია სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მიერ ანუ ე.წ. **სამოქალაქო ქორწინება (საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და ა.შ.** ბ) ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ როგორც **სამოქალაქო,** ისე **რელიგიურ (საეკლესიო) ქორწინებას** და მათ შორის არჩევანის გაკეთების უფლება აქვთ დასაქორწინებელ პირებს **(დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ავსტრალია და ა.შ.);** გ) ქვეყნები, რომლებშიც ოფიციალურად მიიჩნევა მხოლოდ **რელიგიური (ეკლესიური) წესით** განხორციელებული ქორწინება **(ანდორა, ლიხტენშტეინი, საბერძნეთი, კვიპროსი და ა.შ.)** დ) ქვეყნები, რომლებშიც ქორწინება დაიშვება ე.წ. **საერთო სამართლის პრინციპების მიხედვით.** ამგვარ ქვეყნებში არ არის აუცილებელი ქორწინებისათვის შესაბამისი ფორმალობების დაცვა **(აშშ-ს ზოგიერთი შტატი, კანადის ზოგიერთი პროვინცია და ა.შ.).**

ქორწინების ფორმის მიმართ ძირითად გამოსაყენებლ მიმაგრების ფორმულად ქორწინების წესის შესრულების ადგილის კანონი **(lex celebrationis)** მიიჩნევა, რომლის მიხედვითაც ქორწინების ფორმის საკითხი რეგულირდება საქართველოში, იაპონიაში, რუსეთში, გერმანიაში, უნგრეთსა და სხვადასხვა ქვეყნებში.[20]

---

[20] იქვე 325

1.2.2. ქორწინება ისლამური ქვეყნების მაგალითზე:

ქორწინების წესები ისლამში ჩამოყალიბდა წინაისლამური ხანის ოჯახის საფუძველზე და თანმიმდევრულად დამუშავდა ისლამის პირველ საუკუნეებში. ყურანმაც დაუშვა მრავალცოლიანობა, მაგრამ არა შეუზღუდავად. მუსლიმ მამაკაცს ერთდროულად შეიძლება ჰყავდეს ოთხი ცოლი და მონა-მხევალთა განუსაზღვრელი რაოდენობა, ამასთან მკაცრი პირობით, რომ მამაკაცი სამართლიანად მოექცევა ყველა ცოლს. [21]

ისლამური სამართლით, ქორწინების აუცილებელი პირობაა საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც იდება საქმროსა და საცოლის მეურვეს (ვალი) შორის. მეურვე უნდა იყოს თავისუფალი, სრულწლოვანი, საღ აზრზე მყოფი მამაკაცი ქალის ნათესავების მხრიდან, მამის ხაზით- მამა, ბაბუა, მისი ვაჟი, ბიძა და ა.შ. თუ ასეთი ნათესავი არ არსებობს, ყადიმ შეიძლება შეასრულოს ეს მოვალეობა. ისლამური სამართლით არ არის დადგენილი საქორწინო ასაკი. საქორწინო კონტრაქტი უნდა შედგეს არანაკლებ ორი მოწმის თანდასწრებით (ორი მუსლიმი მამაკაცი ან ერთი მამაკაცი და ორი ქალი). დღეს, ყველა მუსლიმურ ქვეყანაში საქორწინო კონტრაქტს ამტკიცებს სასამართლო ან სპეციალური მოხელე- *მა ზუნ* (ნოტარიუსი).[22]

განქორწინებისას, მაჰრი მთლიანად ცოლის საკუთრებაა და როგორც უნდა, ისე გამოიყენებს მას. მაჰრი მატერიალურად უზრუნველჰყოფს ქალს, თუ დაქვრივდება ან განქორწინებას მოითხოვს. [23]

---

[21] გელოვანი ნ., სანიკიძე გ., „ისლამი“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 204

[22] იქვე 204

[23] იქვე 204

II თავი

2. განქორწინების ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება

განქორწინების თავისუფლების საკითხი ისტორიულად სხვადასხვანაირად წყდებოდა. რომის სამართალი ქორწინებას განიხილავდა რა სამოქალაქო გარიგების ნაირსახეობად, უშვებდა განქორწინების სრულ თავისუფლებას. საქორწინო გარიგების მოშლა ყოველთვის იყო შესაძლებელი. ქრისტიანობის გავრცელებიდან მოყოლებული კი, განქორწინება თანდათან იზღუდებოდა. ფეოდალიზმის პერიოდში, როცა სამართალმა რელიგიური იდეოლოგიის გავლენა განიცადა, განქორწინების თავისუფლება დავიწყებას ეძლეოდა. მხოლოდ 1970 წელს მიიღო იტალიის პარლამენტმა კანონი განქორწინების შესახებ. მანამდე კი აკრძალული იყო.[24]

ქართული სამართალიც, სხვა ქვეყნების სამართლის მსგავსად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უშვებდა განქორწინებას. განქორწინების უპირატესი უფლება კაცს უფრო ჰქონდა, ვიდრე-ქალს. ბექას სამართლის მიხედვით, თუ ქალი თავისი ნებით გაეყრებოდა კაცს, იგი დამნაშავედ ითვლებოდა და მზითვი უკან უნდა დაებრუნებინა. ვახტანგ მეექვსის სამართლის თანახმად კი, თუ განქორწინების ინიციატორი ორივე მხარეა, ორივეს ერთნაირად მიუძღვით ბრალი, ქალი უფრო მეტად ისჯება, ვიდრე კაცი. ფეოდალურ საქართველოში ეს დეფინიცია აღარ არსებობდა, დამნაშავედ მიიჩნეოდა ყველა, ვისაც წვლილი მიუძღოდა ოჯახის დანგრევაში.[25]

---

[24] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 109

[25] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 1998, 94-96

ძველ საქართველოში განქორწინების წესის დადგენა შედიოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო ხელისუფლების კომპეტენციაში. ქრისტიანული ეკლესიის ნორმებითა და აგრეთვე ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, განქორწინების უპირველესი მიზეზი იყო ცოლის მხრივ მრუშობა. ეკლესია სიძვას განქორწინების ერთადერთ საფუძვლად მიიჩნევდა. საერო კანონმდებლობამ ამ მხრივ უფრო ცივილიზებული მიდგომა გამოავლინა. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით, ცოლის ღალატი საკმაო საფუძველია განქორწინებისათვის, მაგრამ იგი ვალდებული არაა მრუშ ცოლს აუცილებლად გაეყაროს. განქორწინება ქმრის უფლებაა და არა მოვალეობა. განქორწინების შეწყვეტას ძველად შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ერთი მეუღლის ბერად ან მონაზვნად აღკვეცა. განქორწინების კანონიერ საფუძვლად ითვლებოდა სქესობრივი ზნეობის დარღვევა, ე.წ. სოდომური ცოდვა. სიგიჟე და ბნედიანობა განქორწინების საფუძვლად ითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ქმარს სნეულ ცოლს შეატყუებდნენ.[26]

საქართველოს საოჯახო კანონმდმებლობა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იცნობს განქორწინების საკითხს და იგი გახლავთ ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლში ვკითხულობთ:

„ქორწინება წყდება:

ა) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;

ბ) კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით;

---

[26] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000, 67

გ) „განქორწინებით“.

ცოცხალ მეუღლეებს შორის ქორწინების შეწყვეტა ხდება განქორწინების საფუძველზე.

განქორწინების საფუძველი შეიძლება იყოს მთელი რიგი მიზეზები, რაზეც მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ ურთიერთთანაცხოვრების პერიოდში. ამიტომაც მათ კანონი აძლევს უფლებას, განქორწინდნენ, რისთვისაც ისინი, დავის არარსებობის შემთხვევაში, მიმართავენ ტერიტორიულ სამსახურს, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი- სასამართლოს.

განქორწინების მიზეზებიდან პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია: მეუღლეთა შორის საერთო შეხედულებებისა და ინტერესების არარსებობა, ხასიათის შეუთავსებლობა, ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა, ეჭვიანობა, ლოთობა, სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა, უმუშევრობით გამოწვეული მძიმე ყოფა, ძალადობა და ა.შ. როგორც ჩანს, განქორწინების მიზეზებს შორის საკმაოდ არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები.[27]

განქორწინებისას იგულისხმება, რომ ქორწინება მოხდა კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, განსაზღვრული დროის განმავლობაში არსებობდა მეუღლეებს შორის წარმოშობილი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი, მაგრამ შემდეგ იგი, ისევ მეუღლეთა ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყდა. [28]

განქორწინების თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით, ან ამის გამო კლებულობს მეუღლეთა და მათი

---

[27] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 119

[28] იქვე 108

არასრულწლოვანი შვილების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. პირიქით, განქორწინების დაშვება და მისი პროცესის გამარტივება რეალური განხორციელების გარანტიებით უნდა იყოს განპირობებული. განქორწინების პროცედურის გამარტივებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობით **განქორწინება დასაშვებია არა მარტო სასამართლოს მეშვეობით, არამედ უფრო მარტივად, კერძოდ, სასამართლო პროცესის მოწყობისა და მოწმეთა დაკითხვის გარეშეც. ესაა განქორწინება ადმინისტრაციული წესით- სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში.** შედეგების მიხედვით, ორივე წესი ერთნაირია. ორივე შემთხვევაში მეუღლეებს შორის წყდება ადრე არსებული საქორწინო ურთიერთობა. ორივე შემთხვევაში, საჭიროა განქორწინების რეგისტრაცია მოხდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიოტრიულ სამსახურში.[29]

2.1. განქორწინება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივ ორგანოში

თანამედროვე ქვეყნებში, რეგისტრაციის ორგანოს მეშვეობით განქორწინება ერთ–ერთი ცივილური ფორმაა, სადაც საკმაოდ მარტივად ყოველგვარი დავის და გართულებების გარეშე ხდება მეუღლეთა განქორწინება. [30]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ამბობს: „განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, **სხვა შემთხვევაში – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში“.** ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა და განქორწინების სურვილი აქვს ორივე მხარეს, მათ შეუძლიათ, მარტივი გზით, ერთობლივი განცხადების საფუძველზე, მიმართონ იუსტიციის სახლის

[29] იქვე 110

[30] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 1998, 120

ნებისმიერ ფილიალს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, საზღვარგარეთ კი საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას;

ასეთ შემთხვევაში, განქორწინების საკითხი მარტივად არის გადასაწყვეტი. განქორწინება ეხება მხოლოდ მეუღლეთა ინტერესებს. მათ არ აქვთ პირადი ხასიათის ან ქონებრივი დავა. იგულისხმება, რომ ყოველგვარი უთანხმოება თვითონვე გადაწყვიტეს, მათ შორის არასრულწლოვანი შვილის რჩენასა და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხებიც. [31] ამიტომაც, რეგისტრაციის ორგანო არ იკვლევს მიზეზებს, თუ რატომ გადაწყვიტეს მეუღლეებმა განქორწინება. მისთვის მთავარია, არსებობდეს ორივე მეუღლის თანხმობა.

2.2. განქორწინება სასამართლოს მიერ

ამ თავში განვიხილავთ სასამართლოს მიერ მეუღლეთა განქორწინების საკითხს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის ცალსახად არსებობს დავა.

განქორწინება სასამართლო წესით უნდა მოხდეს, თუ: მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, ერთ-ერთი მათგანი განქორწინების წინააღმდეგია, მეუღლეებს შორის არსებობს ქონებრივი დავა. სასამართლო წესია საჭირო მაშინაც, როცა მეუღლე მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით და აღძრავს დავას ბავშვების ან ქონების შესახებ; აგრეთვე, თუ არაქმედუნარიანად ცნობილი მეუღლის მეურვე მოითხოვს ქონების გაყოფას ან ალიმენტის გადახდევინებას. განქორწინების სასამართლო წესიც ორი ეტაპისგან შედგება. პირველია სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტა და მეორე-

[31] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 111

სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში. [32]

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. [33] მაშასადამე, მეუღლეებს უფლება აქვთ, თავად გადაწვიტონ, გააგრძელონ თუ შეწყვიტონ ქორწინება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლი აწესრიგებს განქორწინების საქმეთა განხილვას სასამართლოს მიერ: განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.[34]

მეუღლეებს უფლება აქვთ, დაქორწინებიდან ნებისმიერ დროს, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ განქორწინება, ერთი მეუღლე იქნება მოსარჩელე, ხოლო მეორე მეუღლე- მოპასუხე. მეუღლეთა ერთად ცხოვრების შემთხვევაში, სასამართლოში სარჩელი შეიტანება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ თუ მეუღლეები ცალკ–ცალკე ცხოვრობენ, მოპასუხე მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ მოპასუხე მეუღლეს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, არასრულწლოვანი ბავშვები მოსარჩელესთან ცხოვრობენ, ან მოპასუხის საცხოვრებელი ისეთ ადგილას არის, რომ გაძნელდება მისვლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მაშინ სარჩელი შეიტანება მოსარჩელის საცხოვრებელის მიხედვით. ასევე, შესაძლებელია სასამართლო ტერიტორიაზე მეუღლეები

---

[32] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000, 65

[33] საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი

[34] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

შეთანხმდნენ და სასამართლომ მათი შეთანხმების შესაბამისად განიხილოს საქმე.[35]

განქორწინების სასამართლო წესით განხილვა უფრო რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან საჭირო ხდება საქმის დეტალურად შესწავლა, მეუღლეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობათა შინაარსში გარკვევა, მოწმეთა დაკითხვა, დოკუმენტების გამოთხოვა და ა.შ. სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში ყველა საშუალებას უნდა მიმართოს ოჯახის გადასარჩენად და საბოლოო გადაწყვეტილება განსაზღვრული დროის შემდეგ უნდა მიიღოს. ამიტომ კანონმა ზუსტად განსაზღვრა ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქმის სასამართლოში განხილვას. ასეთი გარემოება, უპირველეს ყოვლისა, არის მეუღლეებს შორის დავის არსებობა. იგი შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათისა. არასრულწლოვანი შვილის ყოლის ფაქტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება მისი აღზრდისა და რჩენის საკითხებთან დაკავშირებით გახდეს სასამართლოს ჩარევა საჭირო. თუ დავა არ არსებობს, მარტო არასრულწლოვანი შვილის ყოლის ფაქტი არ შეიძლება განქორწინების განხილვას დაედოს საფუძვლად.[36]

3. განქორწინება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში

განქორწინების საკითხი ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართალში, ვინაიდან საქმე გვაქვს უცხო ელემენტით დატვირთულ კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან და ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რომელი

[35] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 230

[36] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 117

ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული განქორწინების შემთხვევაში?

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, *ქორწინების შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ.* ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, რომ: *როდესაც უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია, იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამართლის შესაბამისად, თუ განქორწინების მსურველი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო.*

ზემოთხსენებულ ნორმებთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება: მთელი რიგი ქვეყნების სამართალი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებშიც მითითებულია განქორწინების ზუსტად განსაზღვრული კონკრეტული გარემოებები (საფუძვლები). [37]

საქართველოს კანონმდებლობით ეს ასე არ არის, სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა“.[38]

აქედან გამომდინარე, განქორწინება უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით შეიძლება აღმოჩნდეს შეუძლებელი არა მარტო იმის გამო, რომ ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება საერთოდ დაუშვებელია, არამედ იმის გამოც, რომ ამ უცხო ქვეყნის

---

[37] ლილუაშვილი თ., „საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, 108

[38] იქვე 108

სამართლით განქორწინების მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული საფუძველი არ არსებობს. ხოლო საქართველოს სამართლით გათვალისწინებული განქორწინების ზოგადი (შეფასებითი) საფუძვლის მიხედვით- განქორწინება შესაძლებელია. [39]

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე და 47-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ქორწინების შეწყვეტის შემდგომი საკოლიზიო პრინციპები (მიმაგრებები):

1. ქორწინების შეწყვეტა საქართველოს მოქალაქესა და უცხოელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შორის წარმოებს საქართველოს სამართლის მიხედვით;
2. ქორწინების შეწყვეტა მეუღლეებს შორის, რომელთაგან ორივეს ან ერთ-ერთს მაინც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს საქართველოში, განიხილება საქართველოს სამართლის მიხედვით, მეუღლეთა მოქალაქეობას ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს;
3. ქორწინების შეწყვეტა მეუღლეებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდა საქართველოში, შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს სასამართლოს მიერ და საქართველოს სამართლის მიხედვით;
4. ქორწინების შეწყვეტა საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესა (ან დაქორწინების დროს მაინც თუ იყო საქართველოს მოქალაქე) და უცხოეთის მოქალაქეს შორის განიხილება საქართველოს სამართლის მიხედვით, თუ ქორწინების შეწყვეტა (განქორწინება) უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით შეუძლებელია.[40]

---

[39] იქვე 109

[40] იქვე 110

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს კომპეტენცია აქვთ, თუ: 1) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო; ბ) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; გ) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლი შეიცავს ზოგად წესს, რომლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს. რა თქმა უნდა, ეს ზოგადი წესი უშუალოდ შეეხება ქორწინების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებსაც. ამასთან ერთად, 68-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს მითითებას იმის საფუძველზე, რომელთა არსებობისას უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობა არ ხდება.[41]

კანონი 69-ე მუხლით კი განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოთა მიერ განქორწინების შესახებ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხს:

1. გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის, თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მეუღლეები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლის დაწესებულებამაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

[41] იქვე 110

განქორწინების შესახებ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების მიღებას სამართლებრივად უარყოფითი შედეგებიც ახასიათებს. ხშირად მეუღლეები ცდილობენ, შეგნებულად აარიდონ თავი თავიანთი ქვეყნის მკაცრ კანონებს და ადვილად მიიღონ განქორწინება უცხო ქვეყანაში.[42]

3.1. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებისას მოქმედებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 45- ე მუხლი:

1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება აგრეთვე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ, თუ მათ სხვა ქვეყნის სამართალი არ აურჩევიათ. სამართლის არჩევა შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე:

ა) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება;

ბ) სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

---

[42] გაბისონია ზ., „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბილისი, 2016, 334

გ) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

3. ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალიც, სადაც მათი ახალი ერთობლივი ადგილსამყოფელია.

4. სამართლის არჩევა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

3.2. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში

მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მეუღლეთა განქორწინების შესახებ, აუცილებელია ერთ-ერთმა ან ორივე მეუღლემ მიმართოს სარეგისტრაციო ორგანოს და მოითხოვოს განქორწინების მოწმობა, რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ განქორწინების პროცესის მეორე ეტაპად.

სარეგისტრაციო ორგანოსთვის მიმართვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადის ფარგლებში. ვადის ათვლა კი იწყება განქორწინების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. **სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არის სარეგისტრაციო ორგანოს მიერ განქორწინების რეგისტრაციის განხორციელება. ამ მომენტიდან ითვლება ქორწინება შეწყვეტილად და გაიცემა განქორწინების მოწმობა.** [43]

განქორწინების შემდეგ, ყოფილი მეუღლეები პირად ცხოვრებას წარმართავენ თავიანთი შეხედულებისამებრ და მათ აქვთ უფლება ხელახლა იქორწინონ როგორც ერთმანეთზე, ასევე- სხვა პირებზე.

[43] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 126

3.3. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

I) განჩინება:

N ა-3197-შ-65-2015 20 ოქტომბერი, 2015 წ., თ. თბილისი

დავის საგანი: **განქორწინება**

აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ ქ.ც.-ძე და კ-ჰ-ბ-ი, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებული იყო 2006 წლის 30 მაისის მიუნხენის მმაჩის ბიუროს მიერ.
2. გერმანიის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2013 წლის 27 ივლისს.
3. 2015 წლის 25 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ქ.ც.-ძემ და მოითხოვა გერმანიის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა განქორწინების ნაწილში.

შუამდგომლობა დაკმაყოფილდა შემდეგი მიზეზების გამო:

4. ქორწინება რეგისტრირებული იყო 2006 წლის 30 მაისს მიუნხენის მმაჩის ბიუროს მიერ.
5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

6. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ქ. მიუნხენის გერმანიის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე.

II) განჩინება:

#ა-4261-შ-86-2015 18 დეკემბერი, 2015 წ. ქ. თბილისი

დავის საგანი: **განქორწინება**

აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ქ. ვეზელის საოლქო სასამრთლოს საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა 2003 წლის 19 ივნისს საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება ა.დ.-სა და ლ.ი-ს შორის.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა.-დ-მა და მოითხოვა წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. ა) საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და მოპასუხე ლ.ი-ი ინფორმირებული იყო განხილვის თარიღის შესახებ;

   ბ) გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალში 2014 წლის 16 ივნისიდან;

გ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოცემულ საქმეზე გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია, კერძოდ, მოდავე მხარეები არიან საქართველოს მოქალაქეები;

დ) გადაწყვეტილება აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე;

საკასაციო სასამართლომ ა.დ-ის შუამდგომლობა დააკმაყოფილა;

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე;

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ქ. ვეზელის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე.

III) განჩინება

#ა-2982-შ-79-2017 22 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

დავის საგანი: განქორწინება, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება, მამის თანხმობის გარეშე ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლების მინიჭება;

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსეთის ფედერაცია. ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეწყდა 2013 წლის 14 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება ი/ზ-სა (შემდეგში: შუამდგომლობის ავტორი, მოსარჩელე, ბავშვის დედა) და ა.ზ-ს (შემდეგში: მოპასუხე, ბავშის მამა) შორის;

1.1.არასრულწლოვანი შვილის- დ.ზ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი;

1.2. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს 2016 წლის 8 ნოემბრიდან დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის გადახდა შვილის რჩენისათვის, მის სრულწლოვანებამდე;

1.3. დედას მიენიჭა მამის თანხმობის გარეშე ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლება;

1.4. მამას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა ქ. მოსკოვის ბიუჯეტის სასარგებლოდ;

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2017 წლის 12 ივლისს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსარჩელის შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და მოითხოვა რეაგირება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად;

3. შუამდგომლობის ავტორი ითხოვს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას;

4. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

1) სასამართლომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლებლად მიიჩნია საქმის განხილვა მოპასუხის დასწრების გარეშე.

2) `მინსკის კონვენციის~ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. ამავე კონვენციის მე-3 თავით მოწესრიგებულია გადაწყვეტილებათა აღიარება და იძულებითი აღსრულება;

3) საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შუამდგომლობას ერთვის `მინსკის კონვენციის~ 53-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის გადასაწყვეტად, ასევე, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით დადგენილი რომელიმე წინაპირობა წარმოდგენილი შუამდგომლობით მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და მის აღსრულებაზე უარსაყოფად.

4) მოპასუხის წერილობითი პრეტენზიის პასუხად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით არის მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაა მოთხოვნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს რუსეთის ფედერაციაში დადგენილ

საარსებო მინიმუმზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანაწესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს `მინსკის კონვეციისა~ და სპეციალური კანონის ზემოხსენებული ნორმებით და აკმაყოფილებს ი. ზ-ის შუამდგომლობას.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება:

1) საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ იქნეს და აღსრულდეს რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის, პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება.

2) მოპასუხეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი დ. ა-ს ძე ზ-ის /დაბადებულის 21.01.2015წ./ სარჩენად, რაც შეადგენს 26 318 (ოცდაექვსი ათას სამას თვრამეტი) რუბლს, რაც არის ქ. მოსკოვში ბავშვებისათვის დაწესებული საცხოვრებელი მინიმუმის ორმაგი ოდენობა.

3) აღიარებულ იქნა არასრულწლოვანი დ. ა-ს ძე ზ-ის /დაბადებულის 21.01.2015წ./ უფლება, დროებით გაემგზავროს რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ _ ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის შენგენის ხელშეკრულების ქვეყნებში, ი. ვ-ის ასული ზ-ის თანხლებით, გამგზავრებაზე მამის _ ა. ზ-ის თანხმობის გარეშე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე;

III თავი

4. განქორწინება საერთაშორისო კერძო სამართალში

განქორწინება არა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის საერთო მეურვეობის შეწყვეტას გულისხმობს, არამედ მას ახლავს მთელი

რიგი სამართლებრივი შედეგები, რომლებიც არაერთ კოლიზიურ პრობლემას წარმოშობს პრაქტიკაში.

ქვეყნებს შორის არსებობს სხვაობა ქორწინების შეწყვეტის წესსა და ფორმასთან დაკავშირებით, თუმცა მისი საფუძვლები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა: **1) განქორწინება 2) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება 3) მისი გარდაცვლილად გამოცხადება;** [44]

განქორწინების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება. ძირითადად, ერთმანეთისგან განასხვავებენ ქვეყნების სამ ჯგუფს, რომლებსაც განსხვავებული მიდგომა აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის ქვეყნები, რომლებიც საერთოდ კრძალავენ განქორწინებას. ამგვარ ქვეყნებს განეკუთვნება კოლუმბია, ირლანდია, არგენტინა და სხვა ქვეყნები; ქვეყანათა **მეორე ჯგუფი** განქორწინებას უშვებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და ამ ჩამონათვალში ხშირად არ შედის მეუღლეთა ურთიერთთანხმობა განქორწინების შესახებ (იტალია); რაც შეეხება ქვეყანათა **მესამე ჯგუფს,** ისინი განქორწინებას უშვებენ კანონიერი პირობების არსებობისას და ამგვარ ერთ-ერთ პირობად მეუღლეთა თანხმობაც მიიჩნევა (გერმანია, საქართველო, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, დანია, ნორვეგია, რუსეთი და ა.შ.). [45]

4.1. ძირითადი კოლიზიური მიმაგრების ფორმულები:

ჩამოთვლილი ქვეყნების მატერიალურ სამართალში განქორწინებასთან დაკავშირებული განსხვავებული წესები ნათელჰყოფს საერთაშორისო კერძო სამართალში, კერძოდ,

---

[44] გაბისონია ზ., „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბილისი, 2016, 328

[45] იქვე 328-329

საოჯახო სამართალში, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის სირთულეს. პრობლემების გადაწყვეტისას სახელმწიფოთა ერთი ნაწილი ძირითადი კოლიზიური მიმაგრების ფორმულად იყენებს მეუღლეთა ***პირად კანონს (lex personalis).*** მეორე ნაწილი ქვეყნებისა მხარს უჭერს მეუღეთა ***საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალს (lex Domicili),*** ხოლო მესამე ნაწილი განქორწინების მიმართ გამოსაყენებელი ძირითადი მიმაგრების ფორმულად ***სასამართლოს ქვეყნის კანონს (lex fori)*** მიიჩნევს; განქორწინების მიმართ გამოსაყენებელ კოლიზიურ მიმაგრების ფორმულად ***„lex personalis“*** გამოყენებას ძირითადად მხარს უჭერენ კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები. რაც შეეხება საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს, ისინი ძირითადად მხარს მეუღლეთა ***საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალსა (lex Domicili)*** და ***სასამართლოს ქვეყნის კანონს (lex fori)*** უჭერენ. [46]

4.2. დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ:

ძირითადი პრობლემა, რასაც განქორწინებასთან დაკავშირებით სკს-ი აწყდება, არის ე.წ. **„შერეული განქორწინებების“** (იგულისხმება ისეთ მეუღლეებს შორის განქორწინება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან ან სხვა მიზეზით ექვემდებარებიან სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ რეჟიმს) შესაბამის ორგანოთა გადაწყვეტილებების ნამდვილობა. არის ქვეყნები, რომლებიც საერთოდ არ ცნობენ თავიანთი მოქალაქეების უცხო ქვეყანაში განქორწინების ფაქტს. ამიტომაც არის, რომ როგორც კოლოზიონისტები ხშირად მიუთითებენ, უცხო ქვეყანაში მიღებულ განქორწინების აღიარებას საკუთარ ქვეყანაში მეუღლეები ხშირად დიდი ხნის მანძილზე ვერ ახერხებენ; განქორწინების შესახებ უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს მიერ

[46] იქვე 331-332

მიღებული გადაწყვეტილების სხვა ქვეყნის მიერ აღიარება ხშირად რთულია *საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის (ordre public)* გამოყენების გამო. იმის გამო, რომ განქორწინების შესახებ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ქვეყნის სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული და ბევრი ქვეყანა თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით პირდაპირ კრძალავს განქორწინებას, მათ თავისუფლად შეუძლიათ უარი განაცხადონ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე. [47]

4.3. საქორწინო კონტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართალში:

იმ შემთხვევაში, თუკი მეუღლეთა შორის გაფორმებულია საქორწინო ხელშეკრულება (კონტრაქტი), მათი ქონებრივი უფლებების მიმართ გამოიყენება სხვა მიმაგრების ფორმულა - ***"lex voluntatis".*** რაც შეეხება მეუღლეთა უძრავი ქონების მიმართ გამოყენებულ სამართალს, ამ შემთხვევაში, დომინირებული მიმაგრების ფორმნულაა ***ნივთის ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი. (lex rei sitae);***

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ქონებრივი ურთიერთობების სახელშეკრულებო რეგულირების როლი საკმაოდ დიდია. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა შვეიცარიის სკს-ი. 52-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები განისაზღვრება მეუღლეთა მიერ არჩეული ნორმების საფუძველზე (***"lex voluntatis").*** იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ მათი ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მათ აქვთ ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი. თუ მეუღლეებს ასეთი ადგილი არასოდეს ჰქონიათ, მაშინ გამოიყენება მეუღლეთა

[47] იქვე 333

საერთო მოქალაქეობა (**“lex patriae”),** ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, - შვეიცარული სამართალი (მუხ. 54-ე). [48]

IV თავი

5. განქორწინება აღმოსავლეთის ქვეყნების სამართალში:

ყურანში და ისლამურ სამართალში თანმიმდევრულად არის შემუშავებული განქორწინების საკითხები. თუ ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა, შესაძლებელია ქორწინების დარღვევა. *„თალაყ“* [„გაშვება“, „გაყრა“] არის განქორწინების ყველაზე გავრცელებული ფორმა ისლამში. ქმარი ათავისუფლებს ცოლს ყოველგვარი ცოლქმრული ვალდებულებებისაგან გაყრის განსაკუთრებული ფორმულის წარმოთქმით. ისლამურ სამართალში არსებობს 17 ასეთი ფორმულა, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: „ანთი ტალაკ“- „თავისუფალი ხარ“. ქორწინება ანულირდება ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის ან სარწმუნოებისგან განდგომის შემთხვევაში. [49]

აზიურ და აფრიკულ სახელმწიფოებში, განქორწინებისას, ძირითადი როლი მამაკაცს ეკუთვნის. შარიათის მიხედვით, დაიშვება ქორწინების შეწყვეტის შემდეგი სახეები: „ბაინი“- საბოლოო განქორწინება. „რაჯაა“- განქორწინება, რომლის დროსაც ხდება ქმრის მიერ ცოლის დაბრუნება. „ხაალი“- ცოლის მიერ ქმრის მოსყიდვა განქორწინების მიღების გამო. „მურაბატი“- ცოლისაგან განრიდება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ბევრი აზიური ქვეყანა მიისწრაფვის ევროპული კანონმდებლობის

---

[48] იქვე 339

[49] გელოვანი ნ., სანიკიძე გ., „ისლამი“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 207

დანერგვისაკენ, საოჯახო სამართლის სფეროში ძირითადად მაინც ტრადიციული შეხედულებები ბატონობს. [50]

განქორწინებასთან დაკავშირებით დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

1. არ შეიძლება ქმარი გაეყაროს ცოლს, როცა ის რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაშია.
2. განქორწინების და დაქვრივების შემდეგ ქალმა უნდა დიაცვას თავშეკავების ვადა „იდდა“, რათა დადგინდეს შესაძლო ფეხმძიმობა. იდდა 3 თვე გრძელდება გაყრილი ქალისთვის...
3. გაყრის შემდეგ ბავშვები რჩებიან მამასთან, მაგრამ ყურანით ორი წლის ასაკამდე დედამ უნდა გამოკვებოს ბავშვები. სამართლის მცოდნეთა განმარტებით, ვაჟები რჩებიან დედას მზრუნველობის ქვეშ 7 წლის ასაკამდე, ხოლო გოგონები- მოწიფულობის ასაკამდე. მამა ვალდებულია იზრუნოს მათზე.[51]

ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები პირდაპირ ექვემდებარება ქმრის პირად კანონს. ასე მაგალითად, ალჟირის სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, ქორწინების წესი და პირობები, აგრეთვე მეუღლეთა ქონებრივი უფლებები განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ქმარი განეკუთვნება.[52]

მაშინ, როდესაც ღალატი უამრავ კულტურაში ითვლება განქორწინების ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად, არსებობს ქვეყნები, სადაც რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებია ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, **ნიგერიაში,** იმ

[50] გაბისონია ზ., „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბილისი, 2016, 330

[51] გელოვანი ნ., სანიკიძე გ., „ისლამი“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 208

[52] გაბისონია ზ., „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბილისი, 2016, 341

შემთხვევაშიც კი, როდესაც ქალს გააუპატიურებენ, ეს ღალატის ტოლფასია, ხოლო ისლამის მიმდევარი მამაკაცების შემთხვევაში, პოლიგამიური პრინციპებიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ ჰყავდეთ ოთხი ცოლი და მეტი, რაც მათი მხრიდან არ ჩაითვლება ღალატად.[53]

2000 წელს **ეგვიპტემ** პირველად შემოიღო ცნება **„განქორწინება მეუღლეთა თანხმობით“,** რა დროსაც ქალს ჰქონდა უფლება, განქორწინებულიყო მეუღლესთან, რისთვისაც არ იყო აუცილებელი დაემტკიცებინა, რომ მეუღლის მხრიდან ადგილი ჰქონდა ღალატს, შეურაცხყოფას ან სხვა რაიმე სერიოზულ მიზეზს.[54]

ინდოეთში, განქორწინება მეუღლეთა თანხმობით, დასაშვები გახლდათ ღალატის, ბოროტმოქმედების, ოჯახის მიტოვების საფუძვლებით, ასევე, ისეთ შემთხვევებშიც, თუკი ერთ-ერთი მეუღლე მიიღებდა სხვა რელიგიას ან თუკი რომელიმე მათგანი იტანჯებოდა ფსიქიკური აშლილობით, რის შედეგადაც, შეუძლებელი იყო მათი თანაცხოვრება. [55]

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, **უგანდაში**, განქორწინების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, ღალატის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ქალმა ამტკიცოს, რომ, ღალატთან ერთად, არსებობს სხვა ისეთი გარემოებებიც, როგორიცაა მეუღლის მხრიდან უპატივცემულო მოქცევა, მისი მიტოვება და ა.შ. [56]

ისლამში, მამაკაცს აქვს მინიჭებული ცალმხრივი უფლება, შეწყვიტოს ქორწინება მეუღლის ბრალეულობის დამტკიცების

---

[53] Barbara Stark, International Family Law, 2005, 77

[54] იქვე 77

[55] იქვე77

[56] იქვე77

გარეშე, რასაც ეწოდება „თალაყი“. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, იგი ვალდებულია უხადოს ცოლს „შემწეობა“ [ჩვენს ენაზე- ალიმენტი].[57]

ჩინეთი:

ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა შესახებ საქორწინო სამართლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი განქორწინება მეუღლეებს ორმხრივად სურთ, მათ შეუძლიათ, მიმართონ ქორწინების რეგისტრაციის შესაბამის ორგანოს და მიიღონ ცნობა განქორწინების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ ისინი შეთანხმებული არიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქონების გაყოფა, ბავშვის მეურვეობა და ალიმენტი. [თავი მეოთხე, მუხლი 31-ე].[58]

იმ შემთხვევაში კი, როცა განქორწინება სურს მხოლოდ ერთ მხარეს, აუცილებელია საქმეში ჩაებას მედიატორი ან საკითხი განიხილოს სახალხო სასამართლომ [Peoples' Court]; სახალხო სასამართლომაც უნდა შეასრულოს მედიატორის ფუნქცია და ყველანაირად ეცადოს, მივიდეს შეთანხმებამდე მეუღლეებს შორის, ხოლო კონსესუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, უნდა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა განქორწინების თაობაზე. [თავი მეოთხე, მუხლი 32-ე].[59]

სახალხო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე, თუკი ჩამოთვლილთაგან არსებობს ერთ-ერთი გარემოება მაინც:

ა) ორმაგი ქორწინება ან ღალატი;

---

[57] იქვე78

[58] იქვე 83

[59] იქვე 83

ბ) ოჯახური ძალადობა, უხეში მოპყრობა, ოჯახის მიტოვება;

გ) აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ნარკოტიკის მოხმარება ან სხვა მანკიერი ჩვევების ქონა;

დ) მხარეები ურთიერთშეთანხმებით ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ორი ან მეტი უწყვეტი წლის განმავლობაში;

ე) სხვა ისეთი გარემოებები, რაც შეუძლებელს ხდის მეუღლეთა თანაცხოვრებას;

ქმარს არ შეუძლია მოითხოვოს განქორწინება, თუკი მისი მეუღლე არის ორსულად ან ბავშვის გაჩენიდან ექვსი თვის განმავლობაში. ეს შეზღუდვა არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ცოლი მიმართავს სახალხო სასამართლოს განქორწინების თაობაზე. [60]

V თავი:

6.1. შერეული ქორწინებები:

შერეული ქორწინებების დროს განსაკუთრებით თავს იჩენს განსხვავება ეთნიკური თვალსაზრისით, რომელიც, რასაკვირველია, მოიცავს რელიგიისა და კულტურის ელემენტებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც ერთმანეთს ეჯახება „დასავლური“ და „ისლამური“ ცივილიზაციები. [61]

ისლამური სამართალი წარმოადგენს ქალისათვის ყველაზე მკაცრ და საშიშ წესების ერთობლიობას, ჰოლანდიური სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც, პირიქით, მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებს ქალებს. ნიდერლანდელი ქალები მკაცრად არიან გაფრთხილებულნი ეგვიპტელ კაცთან ქორწინების სირთულეებზე, როგორიცაა, მაგალითად, საქორწინო კონტრაქტში

---

[60] იქვე 84

[61] Iris Sportel, Divorce in Transnational Families, 2016, 46

ჩადებული მუხლი ცოლისა და შვილის მოგზაურობის აკრძალვის შესახებ, გაჭიანურებული და გართულებული წესები ბავშვის მზრუნველობის თაობაზე და ა.შ. ერთი სიტყვით, სანამ ჰოლანდიელი ქალი გადაწყვეტს, იქორწინოს ეგვიპტელ კაცზე, მან უნდა გაიაროს სამართლებრივი კონსულტაცია პროფესიონალთან. [62]

6.2. განქორწინების პროცედურა ნიდერლანდებში:

ზოგადად, პირველი ნაბიჯი არის იურისტის პოვნა. მოპასუხეთა უმრავლესობა, განსაკუთრებით ნიდერლანდებში, იურისტს აბარებს მთელ საქმეს და თვითონ არ მონაწილეობს არანაირ პროცესში. ისინი ყველანაირ დოკუმენტაციას აგროვებენ და წარადგენენ სასამართლოში, თუმცა მოპასუხე არასოდეს ნახულობს მოსამართლეს, მაშინაც კი, როდესაც პროცესში მისი ჩართულობა აუცილებელია, ისინი ამჯობინებენ, მათ მაგივრად ყველა დასმულ შეკითხვას პასუხი გასცეს დაქირავებულმა იურისტმა. [63]

ადვოკატის აყვანამდე, აუცილებელია მხარემ გადაწყვიტოს, რომელმა ქვეყანამ უნდა განიხილოს განქორწინების საკითხი. ამის შემდეგ მას შეუძლია დაიქირაოს იურისტი სწორედ ასეთ ქვეყანაში. თუ ერთ-ერთ მეუღლეს უკვე დაწყებული აქვს განქორწინების პროცედურა ერთ ქვეყანაში, მაშინ მეორე მეუღლეს არ რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს საკითხის განსახილველად სხვა ქვეყანა. თუმცა დაკვირვებებისა და ანალიზის საფუძველზე, მხარეები ძირითადად ირჩევენ იმ ქვეყანას, რომელთანაც ისინი ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული მოცემულ მომენტში. [64]

---

[62] იქვე 48

[63] იქვე 107

[64] იქვე 108

6.2.1. მეორე განქორწინება: განქორწინება ორ ქვეყენაში?

მაშასადამე, როდესაც მეუღლეები იწყებენ განქორწინების პროცედურას ორიდან ერთ-ერთ ქვეყენაში, მათ აჰყავთ ადვოკატი. ძირითადად, ხდება იმ სამართლის არჩევა, სადაც მათ აქვთ უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების ავტომატური ცნობა არ ხდება მეორე ქვეყანაში. მეუღლეებმა, რომელთაც დაარეგისტრირეს თავიანთი ქორწინება ორ ქვეყანაში, შესაძლოა, განქორწინდნენ მხოლოდ ერთ ქვეყანაში, თუმცა მეორეში ისინი ისევ იქნებიან სამართლებრივად ე.წ. **„ნახევრადნამდვილ ქორწინებაში“. [limping marriage];** იმისათვის, რომ მეუღლეებს ორივე ქვეყანაში ჰქოდნეთ ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი, აუცილებელია მეორე სახელმწიფომ ცნოს გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის გადაწყვეტილება თავის ტერიტორიაზე ანდა ზოგ შემთხვევაში, საჭირო ხდება მთლიანი პროცედურის ხელახალი გავლა. [65]

დასკვნის სახით, შესაძლებელია, ითქვას, რომ ინტერნაციონალური ქორწინებისა თუ განქორწინების დროს, მეუღლეები აწყდებიან უამრავ პრობლემას, ამიტომაც ბოლო დროს, შეინიშნება, რომ წყვილები ცდილობენ საერთო ენის გამონახვას ან ისინი იღებენ რჩევებს პროფესიონალი იურისტებისგან, რათა შეამცირონ ამგვარი პრობლემების წარმოშობის რისკი. მეუღლეების უმეტესობა არეგისტრირებდა ქორწინებას სხვა ქვეყანაში, თუკი ეს აუცილებელი იყო მიგრაციის პროცედურისთვის და ზოგიერთი მათგანი კი იწყებდა ფორმალურ განქორწინების პროცედურას, როდესაც ეს აუცილებელი იყო კონკრეტული მიზნებისათვის.

---

[65] იქვე 110

ტრანსნაციონალური კავშირების არსებობა კი უდიდეს როლს ასრულებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. [66]

6.3. პრობლემა, როდესაც ერთ ქვეყანაში დაშვებულია პოლიგამია, მეორეში- არა:

რეალური ქეისი:

აბუს (ქმარი) ორივე ცოლს სურს განქორწინება. პირველ რიგში, მათ უნდა აირჩიონ, თუ რომელი სამართლით უნდა განქორწინდნენ ისინი, ფრანგული თუ ეგვიპტური. ზოგადად, განქორწინება შეუძლებელია, თუკი მხარეები არ იმყოფებიან ქორწინებაში. აზიზა, როგორც აბუს მეორე ცოლი, ფრანგული სამართლის მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ მეუღლედ და ასეთი ქორწინება გახლავთ ბათილი. მეტიც, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალულია ბინადრობის (დროებითი ცხოვრების) ნებართვის გაცემა იმ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან პოლიგამიურ ქორწინებაში. (ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი აბუს შემთხვევაში, თუმცა საფრანგეთში ოჯახის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სხვა დამატებითი ფაქტორები გახლავთ აუცილებელი);

ეგვიპტეში კი, ორივე ცოლს შეუძლია განქორწინება ღალატისა თუ რაიმე სხვა საფუძვლის მტკიცების გარეშე. მხოლოდ, განქორწინების შემდეგ, მათ უნდა დაუბრუნონ ყოფილ მეუღლეს ის ქონება, რომელიც მათ მიიღეს ქორწინების პერიოდში და ასევე, მათ არ უნდა მოითხოვონ ალიმენტი.

ზაჰრას (პირველი ცოლი) შეუძლია, განქორწინდეს ფრანგული სამართლის მიხედვით, აბუს თანხმობით ან მისი თანხმობის გარეშე. ამისათვის აუცილებელი იქნება, მან დაიქირაოს ფრანგი ადვოკატი. მას შემდეგ, რაც იგი დაბრუნდება ეგვიპტეში, მას ექნება

[66] იქვე 121

გაცნობიერებული, რომ შესაძებელია, ფრანგული განქორწინება არ ცნოს ეგვიპტემ. ვინაიდან ეგვიპტე არის "განქორწინებათა აღიარების კონვენციის" წევრი, საფრანგეთი კი არა, ეგვიპტემ შესაძლებელია მის ტერიტორიაზე ცნოს მხოლოდ ზემოთ ხსენებული კონვენციის წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ზაჰრას ფრანგული განქორწინება, ქონების გაყოფა და სარჩოს მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები იქნება თუ არა ცნობილი ეგვიპტეში, ეს თავად ამ უკანასკნელმა უნდა გადაწყვიტოს;

რაც შეეხება აზიზას, მას შეუძლია დატოვოს აბუ ნებისმიერ დროს, თუმცა პრაქტიკულად ეს იქნება შეუძებელი, რადგანაც მას გაუჭირდება სამსახურის პოვნა და ამასთანავე, მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ქონება და ალიმენტი აბუსგან მანამ, სანამ იგი არ იქნება მისი მეუღლე ფრანგული სამართლის მიხედვით;

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, პოლიგამია ქალებს საზიანო მდგომარეობაში აყენებს, რითაც ილახება მათი უფლებები. ვინაიდან პოლიგამიური ქორწინებებიდან წარმოშობილი პრობლემები თავს საკმაოდ ხშირად იჩენს, უნდა არსებობდეს მისი გადაჭრის მკაფიოდ განსაზღვრული გზებიც. [67]

VI თავი

7. განქორწინება ევროპულ სახელმწიფოებში:

7.1. გაერთიანებული სამეფო:

განქორწინების დროს, სირთულეები თავს იჩენს მაშინ, როდესაც მეუღლეები მიდიან საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში და აღარ

[67] Barbara Stark, International Family Law, 2005, 93

ექვემდებარებიან გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციას. მაგალითად: ინგლისის მოქალაქეები დაქორწინდნენ ინგლისში, თუმცა საცხოვრებლად გადავიდნენ ესპანეთში მცირე დროით. ქმარი ამბობდა, რომ რადგანაც მათი საცხოვრებელი ადგილი უკვე იყო ესპანეთში, განქორწინების საკითხიც სწორედ ამ უკანასკნელში უნდა განხილულიყო. თუმცა უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, გამოიკვეთა ცალსახა მიზანი ორივე მხარის, რომ მათ მიერ უგულვებელყოფილ იქნა ინგლისური წარმომავლობა, იქაური საცხოვრებელი ადგილი და მათ მიიღეს ესპანეთში ცხოვრების უფლება. ამ ფაქტზე დაყრდნობით, განქორწინების საკითხი შედიოდა არა ესპანეთის, არამედ ინგლისის სასამართლოს იურისდიქციაში. [68]

Matrimonial Causes Act 1973 განსაზღვრავს:

- **„ერთი წელი განქორწინებამდე“** - განქორწინების პროცედურა არ შეიძლება დაიწყოს ქორწინების პირველივე წელს. ეს არის მკაცრად განსაზღვრული დათქმა კანონში, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს. მიუხედავად ამგვარი აკრძალვისა, ქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში შესაძლოა მოხდეს განქორწინება, თუკი არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ქორწინების ბათილობის თაობაზე;

- **გამამხნევებელი „შერიგება“** - იმ მიზნით, რომ შენარჩუნდეს რაც შეიძლება მეტი ქორწინება, სასამართლოს, საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ დროს, შეუძლია, გადაავადოს განქორწინების პროცედურა, თუკი იგი ხედავს მცირედ შესაძლებლობას მაინც, რომ წყვილი შერიგდეს. ამისათვის განისაზღვრება გონივრული

[68] Kate Standley, Paula Davies, Family Law, 2013, 135

ვადა და მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, განქორწინების პროცედურა განახლდება. [69]

7.1.1. განქორწინების საფუძვლები და ხუთი ფაქტი:

იმისათვის, რომ განქორწინების პროცედურა დაიწყოს, აუცილებელია, განმცხადებელმა დაამტკიცოს ერთი ან რამდენიმე მიზეზი ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი ფაქტიდან:

ა) მოპასუხემ უღალატა მოსარჩელეს და ამ უკანასკნელისთვის აუტანელია მოპასუხესთან ცხოვრება;

ბ) მოპასუხის ქცევა მოსარჩელის მიმართ შეუძლებელს ხდის მათ თანაცხოვრებას;

გ) მოპასუხემ მიატოვა მოსარჩელე ქორწინების განმავლობაში სულ მცირე ორი უწყვეტი წლით;

დ) მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ სულ მცირე ორი უწყვეტი წლის განმავლობაში და მოპასუხე თანახმაა განქორწინებაზე;

ე) მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ სულ მცირე ხუთი უწყვეტი წლის განმავლობაში და მოპასუხე თანახმაა განქორწინებაზე;

იმ შემთხვევაში, თუკი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთ-ერთი ან რამდენიმე ფაქტი დადასტურდება და სასამართლო დარწმუნდება განქორწინების გარდაუვალობაში, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე; [70]

7.1.2. განქორწინების პროცედურა:

განქორწინების პროცედურა განსხვავდება ორი საფუძვლით:

1) **მოპასუხე თანახმაა**

---

[69] იქვე 135

[70] იქვე 136

ასეთ შემთხვევაში, განქორწინება ხდება შედარებით მარტივად, არ არის აუცილებელი მეუღლეებისა და მათი წარმომადგენლების დასწრება სასამართლოში;

- **პროცედურის დაწყება:**

  განცხადების შევსებასთან ერთად, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველანაირ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, აუცილებელია, მოსარჩელემ დეტალურად მიუთითოს ცოლ-ქმრული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, არ შეიძლება განცხადება წარედგინოს სასამართლოს ქორწინებიდან ერთი წლის ვადაში, თუმცა ნებისმიერი ქმედება, როგორიცაა ღალატი, მიტოვება და ა.შ, რომელიც განხორციელდა ქორწინების პირველივე წელს, მოსარჩელეს შეუძლია მიუთითოს წარდგენილ განცხადებაში;

- **შემდეგი ნაბიჯი:**

  მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს განცხადებას, მოპასუხეს გადაეგზავნება ერთი ეგზემპლარი და კითხვარი, რომელიც ამ უკანასკნელმა 8 დღის განმავლობაში უნდა შეავსოს და დაუბრუნოს სასამართლოს;

სასამართლოს გადაწყვეტილება:

მას შემდეგ, რაც მოსამართლე შეაჯამებს ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ პოზიციებს, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენად საკმარისია განცხადებაში აღნიშნული მიზეზები განქორწინებისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი მეუღლეებს ჰყავთ 16 წელს ქვემოთ შვილები, სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ და ნათლად, თუ ვისთან იცხოვრებს იგი, ვინ გადაიხდის ალიმენტს და ა.შ. [71]

[71] იქვე 139-140

2) **მოპასუხე წინააღმდეგია:**

ამ შემთხვევაშიც, განქორწინების პროცესი იწყება იმავენაირად, როგორც მოპასუხის თანხმობის შემთხვევაში, თუმცა მოპასუხე ვალდებულია, დაასაბუთოს რატომ არ ეთანხმება წარდგენილ სარჩელს; [72]

7.2. საფრანგეთი:

ფრანგული განქორწინების სამართალი:

განქორწინების საფუძვლებია:

1) მხარეთა შეთანხმება
2) მხარეთა ბრალეულობა
3) გარდაცვალება

ნებისმიერ შემთხვევაში, იურისტის დახმარება აუცილებელი და გარდაუვალია. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს განქორწინება სურთ ურთიერთშეთანხმებით, მათ შეუძლიათ, ჰყავდეთ საერთო ადვოკატი. [73]

განქორწინება, მხარეთა შეთანხმებით, გახლავთ ორგვარი:

1) ორივეს შეაქვს საერთო განცხადება და ასეთ დროს, არ არის აუცილებელი სასამართლოს წარედგინოს მიზეზი, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება მიღებულია ურთიერთშეთანხმებით;
2) განცხადება განქორწინების თაობაზე შეაქვს ერთ-ერთ მეუღლეს, ამასთანავე, მეორე მხარეც თანახმაა. განქორწინების მსურველი მხარე, იურისტის დახმარებით, წარუდგენს მოსამართლეს წერილობით დასაბუთებას განქორწინების მიზეზის/მიზეზების თაობაზე. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მეორე მხარეს და იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი ცნობს აღნიშნულ განცხადებას,

---

[72] იქვე 142

[73] Barbara Stark, International Family Law, 2005, 84

მაშინ საქმის მასალები გადაეგზავნება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

განქორწინება, როდესაც თანახმაა მხოლოდ ერთი მხარე:

1) ასეთ შემთხვევაში, უნდა იკვეთებოდეს მეუღლეთა ვალდებულებებისაგან თავის არიდება, სერიოზული სახის გადაცდომები, რაც შეუძლებელს ხდის ქორწინებაში დარჩენას.
2) განქორწინება თანაცხოვრების წესების დარღვევის გამო:

ა) როცა მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ სულ მცირე ექვსი წლის განმავლობაში;

ბ) როდესაც აზრობრივი განსხვავებები სულ მცირე ექვსი წლის განმავლობაში იმდენად გაძლიერდა, რომ თანაცხოვრება შეუძლებელია;

მეუღლე, რომელიც ითხოვს განქორწინებას, ვალდებულია გადაიხადოს ყველა გადასახადი და შეასრულოს შვილებისა თუ მეუღლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები. მოსამართლე უარს იტყვის განქორწინების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე, თუკი იკვეთება, რომ განქორწინების მსურველ მეუღლეს სურს, დადგეს მისთვის სასურველი მატერიალური შედეგები. [74]

7.4. განქორწინების საკითხის რეგულირება უცხოური ელემენტის არსებობის დროს ბელარუსში:

ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეების განქორწინების საკითხი, რომლებსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვთ უცხოეთში და მათი მეუღლეები არ არიან ბელარუსის მოქალაქეები, ბელარუსის უზენაესმა სასამართლომ შესაძლოა განიხილოს. ამ გადაწყვეტილებას ძალა აქვს ბელარუსის

[74] იქვე 85

რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მისი აღიარება და აღსრულება განისაზღვრება უცხო ქვეყნის კანონმდებლობით და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. [75]

7.4.1. განქორწინების ორმხრივი კონფლიქტის რეგულირება ბელარუსის კანონმდებლობაში

1. თუკი მეუღლეებს სარჩელის შეტანის მომენტისათვის გააჩნიათ საერთო მოქალაქეობა, მაშინ საკითხს განიხილავს სწორედ ის სახელმწიფო, თუმცა თუკი მათ არ აქვთ საერთო მოქალაქეობა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი;
2. თუკი მეუღლეებს აქვთ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა, მაშინ გამოიყენება მეუღლეთა საერთო საცხოვრებლის ქვეყნის სამართალი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საქმეს განიხილავს ის სასამართლო, რომელშიც წარდგენილია განცხადება;

მინსკის კონვენციის 28-ე მუხლისა და კიშინოვის კონვენციის 31-ე მუხლი შეიცავს იდენტურ შინაარსს:

გამოიყენება მეუღლეთა მოქალაქეობის კანონი ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს ქვეყნის კანონი;

რომის მესამე რეგლამენტის დებულება:

ეს რეგლამენტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

- მეუღლეთა საერთო საცხოვრებლის ადგილის მიხედვით;

[75] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, 2015, 87

- მეუღლეთა ბოლო საერთო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუკი ერთ-ერთი მათგანი ისევ ცხოვრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე;
- ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყნის სამართლის მიხედვით, თუკი იგი ცხოვრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე განცხადების შეტანის დროს;
- სასამართლოს ქვეყნის კანონი;

მხარეებმა გამოსაყენებლი სამართალი უნდა აირჩიონ მანამ, სანამ სასამართლო დაიწყებს საქმის განხილვას. თუმცა, რიგ შემთვევებში, თუკი ეს დასაშვებია სასამართლოს ქვეყნის კანონის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ გამოსაყენებელი სამართალი შეარჩიონ სასამართლო სხდომაზეც. მხარეთა მიერ კანონის არჩევა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუკი მეუღლეები არ აირჩევენ გამოსაყენებელ სამართალს, საქმე განიხილება სარჩელის შეტანის დროს მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; [76]

7.5. ევროკომისიის წევრი ქვეყნები:

7.5.1. ავსტრია:

ეროვნული კანონმდებლობა, ცნობა/აღსრულება, გამოსაყენებელი სამართალი:

ავსტრია აღიარებს განქორწინებას მხარეთა შეთანხმებით, განქორწინებას ბრალეულობით და განქორწინებას სხვა მიზეზებით, როგორიცაა ფსიქიკური დაავადებები, მაშინ, როდესაც მხარეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ 3-6 წლის განმავლობაში;

რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ტრანსნაციონალური განქორწინების საკითხი, ავსტრიის მოქალაქესა და ისეთი ქვეყნის მოქალაქეს შორის, რომელიც არ არის ევროკომისიის წევრი?

---

[76] იქვე 92-94

ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, ასეთ დროს საკითხი განსახილველად ექვემდებარება იმ ქვეყნის იურისდიქციას, რომელშიც მეუღლეებს ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან იგი განიხილება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სხვა შემთხვევაში კი, მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვენის საქალაქო ადგილობრივი სასამართლოს მიერ;

განქორწინების შემდეგ ალიმენტის გადახდის წესი რეგულირდება ავსტრიის საქორწინო კანონის 66-80 მუხლებით. მისი განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მეუღლეთა შემოსავალი და გადაცდომის სიმძიმე, რამაც გამოიწვია განქორწინებამდე მისვლა. ეს პროცესი დარეგულირებულია ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. განქორწინების შემდეგ, თითოეული მეუღლე იტოვებს იმ ქონებას, რომელიც მას საკუთრებაში ჰქონდა ქორწინებამდე ან რომელიც შეიძინა, დამოუკიდებლად, ქორწინების განმავლობაში. [77]

7.5.2. ირლანდია:

ირლანდიის კონსტიტუცია არის განქორწინების პროცესში მთავარი სამართლის წყარო. იგი განსაზღვრავს განქორწინების შემდეგ საფუძვლებს:

- **მეუღლეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე სულ მცირე 4 წლის განმავლობაში;**
- **არ არსებობს მხარეთა შერიგების არანაირი შესაძლებლობა;**
- **სხვა ისეთი გარემოება, რა დროსაც სასამართლო ჩათვლის საჭიროდ მხარეთა განქორწინებას, მაგალითად, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესები.**

---

[77] The Academy of European Law, Training module on crossborder divorce and maintenance: jurisdiction and applicable, 2010, 6-8

რომელი სასამართლო განიხილავს განქორწინების საკითხს, თუკი ერთ-ერთი მეუღლე არ არის ევროკომისიაში შემავალი ქვეყნებიდან რომელიმეს მოქალაქე?

ირლანდიის უზენაეს სასამართლოს ჩვეულებრივ აქვს პირველადი კომპეტენცია განიხილოს ამგვარი განქორწინების საკითხი;

საინტერესოა, განვიხილოთ ერთი ასეთი ქეისი:

ფრანგი წყვილი, რომლებიც დაქორწინდნენ საფრანგეთში 1978 წელს, ირლანდიაში გადავიდნენ საცხოვრებლად 1988 წელს. მათ განქორწინება გადაწყვიტეს 2002 წელს და ქმარმა დაიწყო შესაბამისი პროცედურები საფრანგეთში. ამ პერიოდში, ცოლი დაბრუნდა საფრანგეთში, ხოლო ქმარი იმყოფებოდა ირლანდიაში. 2002 წლის დეკემბერში, ცოლმა დაიწყო განქორწინების პროცედურა ირლანდიაში და იგი მიუთითებდა ბრიუსელის მეორე რეგულაციაზე, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ირლანდიას შეეძლო განეხილა ეს საკითხი. ირლანდიის სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში სარჩელი იმ მოტივით, რომ ბრიუსელის მეორე რეგულაციის თანახმად, რომელიც გახლავთ ირლანდიის კანონმდებლობის ნაწილი, განქორწინების საკითხი უნდა განეხილა იმ სასამართლოს, სადაც თავდაპირველად იქნა შეტანილი სარჩელი. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, საფრანგეთის სასამართლო იყო უფლებამოსილი, განეხილა განქორწინების საკითხი და განესაზღვრა სამართლებრივი შედეგები. [78]

7.5.3. იტალია:

სამართლებრივად, ქორწინება მოიცავს სამ ძირითად პრინციპს: **მეუღლეთა თანასწორობა, ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების**

[78] იქვე 594-597

ერთობლივი მესაკუთრეობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის ერთობლივი პასუხისმგებლობა;

ტრანსნაციონალური განქორწინების შემთხვევაში, თუკი მეუღლეებიდან ერთ-ერთი არ არის ევროკომისიის წევრი სახელმწიფოებიდან რომელიმეს მოქალაქე, იტალიის სასამართლოს აქვს კომპეტენცია, განიხილოს განქორწინების საკითხი:

ა) როდესაც მოპასუხეს აქვს საცხოვრებელი ადგილი ან ბინადრობის ნებართვა იტალიაში ან ჰყავს წარმომადგენელი, რომელიც სასამართლო წარმოების პროცესში მიიღებს მონაწილეობას;

ბ) როდესაც ერთ-ერთი მეუღლე არის იტალიის მოქალაქე და ქორწინების ცერემონიალი გაიმართა იტალიაში;

რომელი სამართალი გამოიყენება მეუღლეთა ქონების გაყოფის შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მათგანი არ არის იტალიის მოქალაქე?

გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მათ იქორწინეს;

მეუღლეები შესაძლებელია, შეთანხმდნენ, რომ ქონების გაყოფის წესი დარეგულირდეს იმ ქვეყნის სამართლით, რომლის მოქალაქეც არის მინიმუმ ერთ-ერთი მათგანი ან რომელი ქვეყნის ბინადრობაც მას აქვს;

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი წყდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ქონება მდებარეობს; [79]

7.5.4. გერმანია:

განქორწინებისათვის აუცილებელია მინიმუმ ერთი მეუღლის მოთხოვნა, რომელიც უნდა განიხილოს მხოლოდ სასამართლომ და

[79] იქვე 605-609

მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. არსებობს მხოლოდ ერთი საფუძველი განქორწინებისა, როგორიცაა **„ქორწინების დანგრევა“ [“breakdown of the marriage”];** თუმცა, განქორწინება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში. განქორწინების პროცესში ჩაბმული უნდა იყვნენ მხარეთა წარმომადგენლები-ადვოკატები;

ტრანსნაციონალური განქორწინების შემთხვევაში, თუკი მეუღლეებიდან ერთ-ერთი არ არის ევროკომისიის წევრი სახელმწიფოებიდან რომელიმეს მოქალაქე, გერმანიის სასამართლოს აქვს კომპეტენცია, განიხილოს განქორწინების საკითხი, თუ:

ა) მეუღლეთაგან ერთ-ერთი არის გერმანელი ან იყო გერმანიის მოქალაქე ქორწინების მომენტისათვის;

ბ) ორივე მეუღლეს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გერმანიაში;

გ) ერთ-ერთი მეუღლე არის მოქალაქეობის არმქონე, თუმცა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გერმანიაში;

დ) ერთ-ერთ მეუღლეს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გერმანიაში, მანამ სანამ განქორწინების გადაწყვეტილებას არაკანონზომიერად ცნობს ის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან;

ალიმენტი:

განქორწინების შემდეგ, საალიმენტო ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მეორე მეუღლეს არ შეუძლია, უზრუნველჰყოს საკუთარი თავი, თუკი ეს გამოწვეულია მცირეწლოვანი (3 წლამდე) ბავშვის ყოლით, ასაკის გამო,

ავადმყოფობის გამო, უმუშევრობის ან შემოსავლის არასაკმარისობის გამო...

მეუღლეთა ქონების გაყოფა:

იმ შემთხვევაში, თუკი მეუღლეები წინასწარ არ ირჩევენ გამოსაყენებელ სამართალს, მაშინ ქონების გაყოფის საკითხი წყდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელთა მოქალაქეებიც არიან ისინი ან აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რომელთანაც ისინი ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული;

უნდა აღინიშნოს, რომ მეუღლეებს აქვთ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საშუალება შეზღუდულად, ვინაიდან იგი უნდა აარჩიონ ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ან უძრავი ქონების შემთხვევაში, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით; [80]

VII თავი:

8. განქორწინება ამერიკაში:

8.1. განქორწინება მეუღლეთა თანხმობით:

განქორწინება, მეუღლეთა თანხმობით, კისრულობს მთავარი დამცველის როლს მხარეებისათვის. ორივე მათგანი თავისუფალია დავისა და სასამართლო პროცესებში მონაწილეობისაგან. აღსანიშნავია, რომ იმ შემთვევაში, როდესაც ერთ-ერთ მხარეს სურს განქორწინება, რა დროსაც იკვეთება ორივე მხარის ბრალეულობა, მას არ აქვს უფლება, მივიდეს სასამართლოში და მოითხოვოს განქორწინება. ისევე, როგორც დელიქტის დროს, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხის ბრალულობა იკვეთება საქმეში და

[80] იქვე 549-553

მისი გამოირიცხება, აქაც, ანალოგიურად, მხოლოდ ერთ მეუღლეს უნდა მიუძღვოდეს ბრალი განქორწინების მოთხოვნის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, როდესაც განქორწინებას ითხოვს ერთ-ერთი მეუღლე, აუცილებელია, მტკიცედ იყოს დასაბუთებული განქორწინების საფუძვლები, როგორიცაა ღალატი, ოჯახის მიტოვება, ცუდი მოპყრობა და ა.შ. [81]

8.2. განქორწინება ბრალდებების გარეშე:

წმინდა მოდელი ბრალდებების გარეშე განქორწინებისა უფლებას აძლევს მეუღლეს, ქორწინება შეწყვიტოს სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს. ამ ფაქტს ასევე მინიმუმამდე დაჰყავს პროცესში მოსამართლის ჩართულობის საკითხიც. თუმცა, მკაცრად განსაზღვრულია, რომ გადაწყვეტილების თავისუფლება ეხება მხოლოდ ქორწინების შეწყვეტას და არა მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს, როგორიცაა ბავშვის მეურვეობა, ქონების გაყოფა და ა.შ. ამგვარმა მოდელმა აჩვენა, რომ ყოფილ მეუღლეებს შორის საგრძნობლად შემცირდა ურთიერთმტრობისა და გამაღიზიანებლობის მომენტი, რამაც უფრო ცივილიზებული გახადა შემდგომი ურთიერთობები მათ შორის. [82]

8.3. გამარტივებული წარმოება და განქორწინება რეგისტრაციით:

გამარტივებული წარმოების დროს, მხარეები თანახმა არიან განქორწინებაზე, სასამართლო კი ფორმალურად მონაწილეობს ამ საქმეში. ამგვარი წარმოება თავიდან არიდებს მხარეებს ადვოკატის დაქირავების აუცილებლობას, რაც, რასაკვირველია, იწვევს დროისა და თანხის დაზოგვას, შესაბამისად, მისი დადებითი

[81] Sanford N. Katz, Family Law in Amercia, 2011, 78-79

[82] იქვე 83

მხარეები საკმაოდ მიმზიდველი ხდება მხარეებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეებს შორის არსებობს დავა ქონების გაყოფასთან ან ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით, განქორწინების რეგისტრაცია გამარტივებული წარმოების გზით ხდება შეუსაბამო. [83]

8.4. მედიაცია:

სასამართლო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, მედიაცია აძლევს შესაძლებლობას მხარეებს თავად განსაზღვრონ და მიიღონ გადაწყვეტილებები მთელ რიგ საკითხებზე ურთიერთშეთანხმების გზით. მედიაციის პროცესში მონაწილეობს მესამე მიუკერძოებული პირი, რომელიც ეხმარება მხარეებს, მივიდნენ ისინი კონსესუსამდე და მხარეებს სთავაზობს პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებს. სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, აქ არ არის ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე, რომლლებსაც დაქირავებული ჰყავთ ადვოკატები. [84]

VIII თავი:

9. განქორწინებისას გამოსაყენებელი სამართალი ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით:

The Counsil Regulation (EU) N.1259/2010

ევროსაბჭოს რეგულაციის № 1259/2010 მე-5 მუხლის მიხედვით, მეუღლეებს აქვთ უფლება, შეთანხმდნენ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა გამოიყენონ მათ განქორწინების შემთხვევაში:

[83] იქვე 124-125

[84] იქვე 125

- იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მათ აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი შეთანხმების დადების პერიოდში;
- იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც მათ ჰქონდათ ბოლო საერთო საცხოვრებელი, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ისევ იქ ცხოვრობს შეთანხმების დადების მომენტისათვის;
- რომელიმე მეუღლის მოქალაქეობის ქვეყნის კანონი;
- სასამართლოს ქვეყნის კანონი;

მეუღლეებს შორის დადებული შეთანხმება გამოსაყენებელი სამართლის არჩევის თაობაზე შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს მანამ, სანამ დაიწყება სასამართლო განხილვის პროცედურები;

იმ შემთხვევაში, თუკი მეუღლეები არ აირჩევენ გამოსაყენებელ სამართალს, განქორწინების პროცედურა განიხილება შემდეგნაირად:

- იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მეუღლეებს აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი სასამართლო პროცედურების მიმდინარეობის მომენტისათვის;
- იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ისინი ბოლოს ცხოვრობდნენ ერთად, თუკი ერთ-ერთი მათგანი ისევ იქ ცხოვრობს სასამართლო პროცედურების მიმდინარეობის მომენტისათვის;
- იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეებიც არიან მხარეები სასამართლო პროცედურების მიმდინარეობის მომენტისათვის;
- იმ ქვეყნის სამართალი, სადაც დაწყებულია სასამართლო პროცედურები; [85]

[85] Gabriela Lupsan, Guide on international private law in family matters, 2014, 20-21

9.1. პრაქტიკული ქეისი კონფლიქტურ სამართალთან დაკავშირებით:

ქეისი ნოტარიუსებისათვის:

I. **პირველი ჰიპოთეზა:**

ბავშვი დაიბადა კანონიერ ქორწინებაში, რომელიც ცხოვრობს რუმინეთში. მშობლები არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, მამას აქვს ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეობა, ხოლო დედას- რუმინეთის. ისინი მიდიან სანოტარო ბიუროში და ითხოვენ თავიანთი შეთანხმების ოფიციალურ დარეგისტრირებას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თითოეული მშობლის ვალდებულება არასრულწლოვნის მიმართ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილი და მისი ნახვის პროგრამა იმ მშობლისათვის, რომელთანაც ის არ იცხოვრებს.

რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთვევაში და როგორ უნდა წარიმართოს სანოტარო პროცედურა?

მოცემულ შემთხვევაში, არასრუწლოვანს ჰყავს სხვადასხვა ეროვნების მშობლები, რომლებიც ცხოვრობენ სხვა ქვეყანაში (მაგ.: მამა არის გერმანიის მოქალაქე, თუმცა ცხოვრობს ესპანეთში), რაც მნიშვნელოვანია გამოსაყენებელი სამართლის დადგენისათვის, არის ბავშვის საცხოვრებელი ადგილი (მისი ბინადრობის ნებართვა). აქედან გამომდინარე, თუკი ბავშვი ცხოვრობს რუმინეთში, ნოტარიუსი გამოიყენებს რუმინულ სამართალს მშობლების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. მეურვეობის საკითხი წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებს შორის არსებობს უთანხმოება არასრულწლოვნის მიმართ არსებულ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. ასეთ დროს, ნოტარიუსს აქვს უფლებამოსილება, დაამოწმოს მხარეთა შეთანხმება რუმინული სამართლის ნორმების შესაბამისად.

რაც შეეხება არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილს, უპირატესობა ენიჭება მშობლების შეთანხმებას, რომლებმაც გადაწყვიტეს, თუ ვისთან იცხოვრებს ბავშვი. ამრიგად, მხარეებს აქვთ უფლება შეთანხმდნენ ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, რასაც დაამოწმებენ სანოტარო წესით და მხოლოდ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმეში ჩაერთვება სამეურვეო სასამართლო. ჩვენს ქეისში, მშობლებს თავად შეუძლიათ, განსაზღვრონ, ბავშვი იცხოვრებს დედასთან რუმინეთში თუ მამასთან- ესპანეთში.

II. **მეორე ჰიპოთეზა:**

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი არ არის დაბადებული კანონიერ ქორწინებაში, მშობლებს აქვთ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ისინი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, ბავშვზე მეურვეობის საკითხი წყდება მხოლოდ სამეურვეო სასამართლოს მიერ, რომელიც გადაწყვეტს, თუ რომელ მშობელს მიაკუთვნოს ბავშვი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მშობელი ინარჩუნებს უფლებას, თვალყური ადევნოს ბავშვის აღზრდისა და განათლების პროცესს. ჩვენს შემთხვევაში, ნოტარიუსს შეუძლია შეადგინოს და დაამოწმოს მშობლების შეთანხმება მშობლების ვალდებულებების განაწილებასთან დაკავშირებით და განსაზღვროს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი ისე, როგორც წინა შემთხვევაში მასთან ვიზიტის პროგრამა.

III. **მესამე ჰიპოთეზა:**

ბავშვი არის რუმინეთის მოქალაქე, არ ცხოვრობს რუმინეთში, მაგრამ ცხოვრობს დედასთან ერთად ევროკავშირის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოში, სადაც მათ მოპოვებული აქვთ ბინადრობის ნებართვა. მამას აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა, თუმცა ცხოვრობს რუმინეთში.

მოცემულ შემთხვევაში, რუმინეთის ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, გამოსაყენებელი სამართალი არის რუმინული სამართალი, თუკი ნოტარიუსი მშობლები, რომლებიც დებენ შეთანხმებას, ცხოვრობენ ევროკავშირის სხვადასხვა წევრ ქვეყანაში და ეს შეთანხმება ეხება:

- მშობლების უფლებამოსილებების განაწილებას ბავშვთან მიმართებაში;
- ბავშვის საცხოვრებელ ადგილს, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს მან;
- ბავშვთან ვიზიტის პროგრამას იმ მშობლისათვის, რომელთანაც იგი არ იცხოვრებს.[86]

კვლევის შედეგები:

საკვლევი თემის განხილვისას, ვფიქრობ, გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემატური საკითხები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩემ მიერ ამ თეზისის არჩევას და მის შემდგომ დამუშავებას.

კვლევის მიზანი გახლდათ დასმული საკითხის ძირფესვიანად შესწავლა, პრობლემის გამოაშკარავება და მის აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავება.

ძირითადი ლიტერატურის განხილვისას, ვნახეთ, თუ როგორ ხდება განქორწინება მთელ რიგ ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ რიგ სახელმწიფოებში განქორწინების საფუძვლები ემთხვევა ერთანეთს, თუმცა საკითხი რთულდება მაშინ, როდესაც უნდა დარეგულირდეს უცხო ელემენტით დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობა. ტრანსნაციონალურ ქორწინებაში მყოფი პირების განქორწინება რთულია იმდენად, რამდენადაც

[86] იქვე 53-55

განქორწინების ფორმა და პროცესი სახელმწიფოებში ერთთმანეთისგან განსხვავებულია, მეტიც, ზოგ მათგანში ეს ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობს. ამავდროულად, განქორწინება შესაძლოა ვერ მოხდეს იმ მიზეზით, რომ ზოგი ქვეყნის სამართლით მისი მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული საფუძველი არ არსებობს.

ის ფაქტი, რომ განქორწინების საფუძვლები ქვეყნების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება, პრაქტიკაში არაერთ პრობლემას ქმნის. ეს, ძირითადად, გამოწვეულია ეთნიკური, კულტურული და რელიგიური განსხვავებებით. მაგალითისთვის, თუკი ქორწინებაში იმყოფებიან საქართველოს მოქალაქე და უგანდას მოქალაქე, განქორწინების მსურველ მეუღლეს, უწევს, ამტკიცოს, რომ არსებობს მთელი რიგი სერიოზული მიზეზებისა, რის გამოც თანაცხოვრება შეუძლებელია. ასეთ მიზეზებში არ მოიაზრება მხოლოდ ღალატი. მაშინ, როდესაც საქართველოში, თავისუფლად შეიძლება გახდეს აღნიშნული ფაქტი განქორწინების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუკი საქმეს განიხილავს საქართველოს სასამართლო და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დააკმაყოფილებს სარჩელს, საინტერესოა, მოხდება თუ არა ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უგანდაში, ვინაიდან გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე შესაძლებელია, ეწინააღმდეგებოდეს დათქმას **„საჯარო წესრიგის“** შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სხვა ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება შიდა კანონმდებლობას, სასამართლოები უარს ამბობენ ასეთი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, რაც მეუღლეებს ართმევს უფლებას, საკუთარ ქვეყანაში ჰქონდეთ განქორწინებულის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ განქორწინებასთან დაკავშირებული განსხვავებული წესების შედეგად წამოჭრილი პრობლემების

მოსაგვარებლად, შემუშავებულია ძირითადი კოლიზიური მიმაგრების ფორმულები, როგორებიცაა **მეუღლეთა პირადი კანონი, საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონი, სასამართლოს ქვეყნის კანონი და ა.შ.** თუმცა, თუკი ქორწინებაში იმყოფებიან საქართველოს მოქალაქე და არაბთა გაერთიანებული საამიროების მოქალაქე, როგორც ქორწინების, ისე განქორწინების დროს, თავს იჩენს ისეთი პრობლემა, როგორიცაა მონოგამიური და პოლიგამიური ქვეყნების მიერ დადგენილი კანონების კოლიზია. მაგალითად, წყვილმა დაარეგისტრირა ქორწინება როგორც საქართველოში, ისე- საამიროებში. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, საქართველოს მოქალაქე, შესაძლებელია, ძალაუნებურად, აღმოჩნდეს პოლიგამიურ ქორწინებაში, ვინაიდან არაბული ქვეყნის წარმომადგენელს, თავის ქვეყანაში, მინიჭებული აქვს უფლება, ჰყავდეს ერთზე მეტი მეუღლე და მან ეს ფაქტი დამალოს იმ მიზნით, რომ საქართველოში ასეთი რამ დაუშვებელია მონოგამიურობის პრინციპიდან გამომდინარე. ასეთ დროს, საქართველოში დარეგისტრირებული ქორწინება იქნება ბათილი, თუმცა იგივე ქორწინება ისლამურ სახელმწიფოში ჩაითვლება ნამდვილად, შესაბამისად, ისინი იქნებიან **„ნახევრადნამდვილ ქორწინებაში“**, რაც საქართველოს მოქალაქეს ართმევს უფლებას, ჰქონდეს ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი ორივე ქვეყანაში.

რაც შეეხება განქორწინებას, თუკი მეუღლეები დაქორწინდნენ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მათ ჰყავთ საერთო შვილი და თანაცხოვრების შედეგად, საქართველოს მოქალაქეს სურს განქორწინება, აუცილებელია, საამიროებში დაცული იყოს ისეთი ისლამური წესები, როგორიცაა, მაგალითად, გაყრის შემდეგ, მოწიფულობის ასაკამდე ბავშვების დედასთან ყოფნა, ამის შემდეგ კი- მამასთან; ქალის უწმინდურ მდგომარეობაში განქორწინების შეუძლებლობა, განქორწინების შემდეგ, 3 თვიანი თავშეკავების

ვადის დაცვა და ა.შ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში, განქორწინების შედეგები ექვემდებარება ქმრის პირად კანონს. მაგალითად, ქონებრივი ურთიერთობები სრულად უნდა მოწესრიგდეს იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ქმარი განეკუთვნება. აღნიშნული დათქმები, რასაკვირველია, სრულიად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განქორწინების საფუძვლებსა და წესებს, რაც საქართველოს მოქალაქეს უზღუდავს ისეთ უფლებებს, როგორიცაა ხელახალი ქორწინების უფლება, თანასაკუთრებაში არსებული ქონების მიღების შესაძლებლობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის მიღების შესაძლებლობა და ა.შ. განქორწინების შემთხვევაში, იმისათვის, რომ მეუღლეებმა, როგორც საქართველოში, ისე საამიროებში მოიპოვონ ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი, აუცილებელია მეორე სახელმწიფომ ცნოს გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის გადაწყვეტილება თავის ტერიტორიაზე და თუკი ეს ასე არ მოხდა, საჭირო ხდება განქორწინების პროცედურების ხელახალი გავლა, რაც იწვევს სამართლებრივი შედეგების დადგომამდე დროის გაჭიანურებას და იმ უფლებების შეზღუდვას, რაც მეუღლეებს გააჩნიათ განქორწინების შემთხვევაში.

საინტერესოა, განვიხილოთ, რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს განქორწინების საკითხი, როდესაც ქორწინებაში იმყოფებიან საქართველოს მოქალაქე და გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განქორწინების მსურველ მეუღლეს შეუძლია სარჩელი აღძრას ნებისმიერი საფუძვლით, ქორწინების შემდეგ ნებისმიერ დროს, გამონაკლისია მხოლოდ მეუღლის ორსულობის პერიოდი და ბავშვის დაბდებიდან 1 წლიანი ვადა, თუკი ცოლი ამაზე თანახმა

არაა. ხოლო გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ამბობს, რომ განქორწინების პროცედურა არ შეიძლება დიაწყოს, თუკი ქორწინებიდან გასული არ არის მინიმუმ ერთი წელი და ეს გახლავთ მკაცრი დათქმა, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს. რაც შეეხება შერიგებას, როგორს საქართველო, ისე გაერთიანებული სამეფო ითვალისწინებს ქორწინების შენარჩუნების მიზნით, სასამართლოს მიერ საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ დროს საკითხის გადაწყვეტის გადავადებას, რაც საშუალებას აძლევს მეუღლეებს, კარგად ჩამოყალიბდნენ და გაერკვნენ მათი თანაცხოვრება რეალურად შეუძლებელია თუ არა. ასევე, გასათვალისწინებელია ის ზუსტად განსაზღვრული ფაქტებიც, რაზეც ვისაუბრეთ ნაშორმის ძირითად ნაწილში, რა შემთხვევაშიც გაერთიანებული სამეფოს სასამართლო ჩათვლის, რომ მან გადაწყვეტილება მიიღოს განქორწინების თაობაზე. საქართველოს კანონმდებლობაში კი, არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული საფუძვლები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მტკიცებულებათა გამოკვლევისა და ფაქტების რეალური შეფასების საფუძველზე. განქორწინების საკითხი ეხება საქართველოს მოქალაქეს და გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეს, ასეთ დროს კი, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, რადგანაც მეუღლეთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა. მაგრამ, საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ცნობს და აღასრულებს გაერთიანებული სამეფო, თუკი განქორწინების შესახებ სარჩელი აღძრულია ქორწინებიდან რამდენიმე თვეში და თუკი სარჩელში მითითებული საფუძვლები სცდება მის მიერ დადგენილ ხუთ ფაქტს?!

იმ შემთხვევაში, თუკი ქორწინებაში იმყოფებიან ბელარუსიისა და გერმანიის მოქალაქე, აუცილებელია, განისაზღვროს, რომელმა ქვეყანამ უნდა განიხილოს მათი განქორწინების საკითხი და რატომ. ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში, ჩვენ ვნახეთ, რომ გერმანიას, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, აქვს კომპეტენცია განიხილოს განქორწინების საკითხი, თუკი მეუღლეთაგან ერთ-ერთი გერმანიის მოქალაქეა ან იყო ქორწინების მომენტისათვის, თუკი მეუღლეებს საცხოვრებელი ადგილი აქვთ გერმანიაში და ა.შ. რაც შეეხება, განქორწინების სამართლებრივ შედეგებს, გერმანიის კანონდმებლობა საალიმენტო ვალდებულებას განსაზღვრავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მეორე მეუღლეს არ შეუძლია უზრუნველჰყოს თავისი თავი ბავშვის მცირეწლოვნობის გამო, ასაკის გამო, ავადმყოფობის გამო, შემოსავლის არქონის გამო და სხვ. დანარჩენ შემთხვევაში, არ არსებობს ალიმენტის გადახდის ვალდებულება. რაც შეეხება ქონების გაყოფას, თუკი მეუღლეებს წინასწარ არ აქვთ არჩეული გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ გამოიყენება მათი მოქალაქეობის, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი.

და მაინც, როგორ უნდა გადაწყდეს განქორწინების საკითხი, როდესაც მეუღლეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან? ვფიქრობ, რომის მესამე რეგლამენტის დებულება საკმაოდ მისაღებია, რადგანაც იგი მეუღლეებს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ: 1) მათი საერთო საცხოვრებლის ქვეყნის სამართალი 2) ბოლო საცხოვრებელი ადგილის სამართალი, თუკი ერთ-ერთი მათგანი ისევ ცხოვრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე 3) რომელიმე მათგანის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალი 4) სასამართლოს ქვეყნის კანონი.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატური და სადაო საკითხები გვიჩვენებს, რომ აუცილებელია კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა და იმ კითხვებზე პასუხის გაცემა, რაც პრაქტიკაში იწვევს არაერთ პრობლემას, საქმეების გაჭიანურებას, გადაწყვეტილებების აღუსრულებლობას და შესაბამისად, მხარეთა უფლებების შეზღუდვას.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ტრანსნაციონალური განქორწინება მართლაც წარმოადგენს პრობლემურ და რთულად რეგულირებად საკითხს, რაც უპირობოდ საჭიროებს კანონის გადასინჯვასა და დამუშავებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული მუხლები არასაკმარისია, ვინაიდან იგი პასუხს არ სცემს ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვას, როგორიცაა მაგალითად: თუ როგორ უნდა დარეგულირდეს საქართველოს მოქალაქის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყენაში არ ხდება საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება შიდასახელმწიფოებრივი შეზღუდვების, განსხვავებული საფუძვლების ან სულაც განქორწინების, როგორც ინსტიტუტის არ არსებობის დროს?! როგორ უნდა გადაწყდეს მისი ან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის, ალიმენტის, ქონების გაყოფის საკითხები, როგორ უნდა ითვლებოდეს იგი ორივე ქვეყანაში განქორწინებულად, რათა მას წარმოეშვას ხელახალი ქორწინების უფლება?!.

ვეცდები, ჩამოვაყალიბო საკანონმდებლო წინადადება მასში გარკვეული სახის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომელსაც ექნება სარეკომენდაციო ხასიათი: უმჯობესია, 73[2] მუხლად ცალკე ჩამოყალიბდეს საქართველოში მიღებული გადაწყვეტილების უცხო ქვეყანაში ცნობისა და აღუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქისათვის დაცვის მექანიზმი, რომელიც უფლებას მისცემს მას, იმ ქვეყანაში, სადაც აქვს საცხოვრებელი ადგილი (პირობითად, ყოფილი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყანა) მიაღწიოს იმ სამართლებრივ შედეგებს, რომელიც თან სდევს განქორწინებას:

მუხლი 73 [2] : საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სავალდებულოობა:

1. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც უცხო ქვეყანაში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მიენიჭოს განქორწინებულის სტატუსი;

2. თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავს ბავშვისათვის ალიმენტის გადახდის წესსა და ოდენობას, წესის ნაწილში, სრულად იცნოს და აღსრულდეს გადაწყვეტილება, ხოლო ოდენობა განისაზღვროს იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტის შესაბამისად, რომელშიც საქართველოს მოქალაქეს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

3. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების მიღების წესი დარეგულირდეს ნივთის ადგილსამყოფელის ქვეყნის სამართლით.

ვფიქრობ, პრაქტიკული პრობლემების ანალიზისა და შედეგად, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, იკლებს შიდასახელმწიფოებრივ კანონთა კოლიზია და დავები გადაწყდება კანონში მკაცრად განსაზღვრული დათქმების შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად დაზოგავს დროს, ხარჯებსა და უფლებას მისცემს მხარეებს, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოგვარების შემდეგ, ისარგებლონ იმ უფლებებით, რასაც მათ ანიჭებს კანონი.

ბიბლიოგრაფია

ქართული

ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2016

შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011

თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001

გელოვანი ნ., სანიკიძე გ., „ისლამი“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2000

ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 1998

ინგლისური

Barbara Stark, International Family Law, 2005

Iris Sportel, Divorce in Transnational Families, 2016

Kate Standley, Paula Davies, Family Law, 2013

Matrimonial Cases Act 1973, https://www.legislation.gov.uk/ukpga/1973/18

The Academy of European Law, Training module on crossborder divorce and maintenance: jurisdiction and applicable, 2010

Sanford N. Katz, Family Law in Amercia, 2011

Gabriela Lupsan, Guide on international private law in family matters, 2014

The Counsil Regulation (EU) N.1259/2010, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32010R1259

რუსული

Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, 2015

კანონმდებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=111

საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 29/04/1998, https://matsne.gov.ge/document/view/93712?publication=4

სასამართლო გადაწყვეტილებები:

კრებული: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2017 N1:

N ა- 3197-შ-65-2015

N ა-4261-შ-86-2015

კრებული: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2018 N5:

N ა-2982-შ-79-2017